ალიევი და ჰუტინი
კასპიის ზღვას გაიყოფენ A2

შეწყალება
ისევ არსაიდან ჩანს A4

თავდასხმა კოფი ანანზე A4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 9 ივნისი, 2002 წელი. №7

ფასი 50 თეთრი

ხაზზეა კვირის პერსონა

ყოველ შაბათს "24 საათის" სატელეფონო ხაზზე კვირის ყველაზე ხმაურიანი მოვლენის გმირი იქნება. ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ტელეფონით 20-24-24 და ელექტრონული ფოსტით spguest@24hours.ge, შეუძლიათ, დაუკავშირდნენ რუბრიკას - "ხაზზეა კვირის პერსონა" და თავად დასვან მათთვის საინტერესო შეკითხვები.

დღეს კი "კვირის პერსონა" ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძეა.

მე ვარ გენერალი და მყავს ოფიცრები

-ის, რომ საზოგადოების ასეთი გათვითცნობიერება საარჩევნო კანონში, კარუსელებში და გაყალბებაში სახელმწიფოს სისუსტეა, გარკვეულად სიმართლეს შეეფერება. მეორე მხრივ, ჩვენი მოქალაქეების მოტყუება ადვილი აღარ არის და ეს კარგია. მე რომ გენერალი ვარ და არჩევნებმა რომ ლამის საომარ სიტუაციაში ჩაიარა, ესეც ნაწილობრივ სიმართლეა. უბრალო მაგალითით დავიწყებ: ქუთაისში არის უმძიმესი მდგომარეობა - საოლქო კომისია გადადგა, ბიულეტენებმა ფრონტის ხაზი გაარღვიეს და ჩამოაღწიეს აქამდე (იმას, თუ ახლა სად ინახება, საიდუმლოდ დავიტოვებ). უნდა ვთქვა, რომ ამ სიტუაციაში ძალიან დამეხმარა კობა ნარჩემაშვილი.

- ვისგან იცავთ, ვისგან მალავთ ამ ბიულეტენებს?

- არ ვიცი, როგორ მოვიმარჯვო სიტყვები... გამძვინვარებული ბრბოსაგან. ზოგს უნდა, რომ დარჩეს ეს შედეგები, ზოგს - არა. ნეტა ვინმეს ენახა 2 ივნისის ღამე და 3 ივნისის დილა, როცა 400 უბნის თავმჯდომარე თითქმის ერთად მოვიდა. მე ხელი უნდა მომეწერა 800 ოქმზე, შემდეგ ეს შედიოდა საოქმო განყოფილებაში, თვითონ საოლქო უბნის თავმჯდომარეებს უკვე აღარ შეეძლოთ ლოდინი, ყრიდნენ ყველაფერს. ვეფერებოდი, ვაწყნარებდი, ჩემი მანქანით გავუშვი ზოგიერთი სახლში... იყო აბსოლუტური ფსიქოზი. ეს მეცნიერული შესწავლის საგანია. მინდა ვთხოვო ფსიქოლოგებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, შეისწავლონ, რატომ მოხდა ეს ყველაფერი.

გაგრძელება A3 გვერდზე

პენტიუმ-4-ის ფასები ეცვემა A2

საქართველოს თავის ტკივილის საზოგადოება A4

ვინ რას ეწევა ქართულ შოუ-ბიზნესში A5

კიდევ ერთი ფავორიტი დამარცხდა A6

ბრაზილია მერვედფინალშია A6

ამინდი

თბილისი	28°
ქუთაისი	30°
ბათუმი	27°
სოხუმი	27°
ფოთი	28°
თელავი	27°
ზუგდიდი	30°
გორი	26°

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.2200
ევრო	2.0770
ფუნტი სტერლინგი	3.2314
რუბლი	0.0707

მხიარული არდადეგები

A8

მარიკა ამერელავილის ფოტო

"ლიბკები" და "კლიბკები"

თენგიზ გოგოტიშვილი

ქართული არმია მართლაც რევოლუციური, თუმცა ბოლომდე გაუგებარი, ცვლილების წინაშე დგას. ჯარს, რომელსაც ბოლო 4 წელიწადია უბოდიშოდ ამცირებენ და კვლავაც უპირებენ შეკვეცას, ახალ-ახალ სამეთაურო შემადგენლობას უწესებენ. იმდენს, რომ დიდი შანსია, მალე ჯარისკაცთა ადგილი საერთოდ აღარ დარჩეს.

თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებები "სამხედრო სამსახურისა და სამხედრო ვალდებულების შესახებ" კანონში, აწესებს მრავალ ახალ წოდებას, რომელთა ნაწილსაც, მართალია, ამერიკელებს დაესესხნენ, მაგრამ ნაწილი, პირდაპირ უნდა ითქვას, სახელოვანი წითელი არმიის ლექსიკონიდან "გადმოშუშეს".

თავად პრინციპი დასავლურია - ძლიერდება უმცროს მეთაურთა ინსტიტუტი, რომელიც არმიის ფუძემდებლური პრინციპების ცვლას მოასწავებს. კერძოდ, შემოდის 3 საჯარისო და უნტეროფიცერთა 9 ახალი წოდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

ლევან კიკალიშვილის ნახატი

რუსთავში მამალაძე-„აღორძინების„ ალიანსზე ალაპარაკდნენ

მაია მოსიაშვილი

"ლევან მამალაძესა და "აღორძინებას" შორის პოლიტიკური გარიგება შედგა," - ეს განცხადება რუსთავის მერის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა, თეიმურაზ დალაქიშვილმა, გუშინ, ქალაქის განათლების სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გააკეთა. მერიის მხრიდან გუბერნატორის წინააღმდეგ გალაშქრების მიზეზად განათლების განყოფილებაში მომხდარი საკადრო ცვლილება იქცა. მერიაში აცხადებენ, რომ განათლების სამხარეო სტრუქტურამ, განყოფილების გამგისა და მისი მოადგილის ვაკანტურ ადგილებზე კანდიდატურები მათთან შეთანხმების გარეშე წარადგინა და არ გაითვალისწინა, რომ თავისი კანდიდატურა მერიასაც ჰყავდა შერჩეული. ქალაქის ხელმძღვანელობა უკანონოდ მიიჩნევს განათლების განყოფილების გამგის მოადგილის პოსტზე რუსთავის საკრებულოს მდივნის, იური აბაშიძის დანიშვნას:

" აბაშიძეს ჩადენილი აქვს სამსახურებრივი სიყალბე და ამისთვის გასამართლებულიცაა. გარდა ამისა, მისი დანიშვნა ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის 74-ე მუხლის მე-10 პუნქტს, რომლის მიხედვით, წინასაარჩევნო პერიოდში თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება იკრძალება. განათლების მინისტრის მაგიდაზე ჩვენი კანდიდატის წარდგინებაც იდო, მაგრამ ლევან მამალაძის სატელეფონო ზარმა კარტოზია აიძულა, ასეთი გადაწყვეტილება მიეღო. ეს არის შედეგი მამალაძის გარიგებისა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, კონკრეტულად "აღორძინებასთან".

დალაქიშვილი დარწმუნებულია, რომ იური აბაშიძის თანამდებობის საკითხი, სხვა პოლიტიკურ გარიგებებთან ერთად, მამალაძისა და გოგიტიძის არაოფიციალურ შეხვედრაზე გადაწყდა, რომელსაც საკრებულოს მდივანიც ესწრებოდა.

"რატომ მოხდა ეს დანიშვნა მაინცადამაინც არჩევნების წინ? ალბათ, იმიტომ, რომ მამალაძეს თავისი ხალხის გასაყვანად "აღორძინების" ხმები სჭირდება", - კითხვას სვამს და თავად პასუხობს დალაქიშვილი.

"აღორძინების" რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარე ალეკო აბაშიძე (იური აბაშიძის ვაჟი) გარიგების ვერსიას კატეგორიულად უარყოფს: **"არ არსებობს არანაირი გარიგება. მე მამალაძეს ფიზიკურად არც ვიცნობ, მხოლოდ ტელევიზორში მყავს ნანახი. "აღორძინება" ამ დაპირისპირებაში არ ერევა. ჩვენი პოზიცია ნეიტრალურია."**

ლევან მამალაძემ "მავანთა მოჩვენებებზე და მოლანდებებზე" კომენტარის გაკეთება არ ისურვა, შეხვედრით კი, ვისაც მინდა, იმას შევხვდებიო, - განაცხადა.

ქვემო ქართლის სასკოლო ოლქის ხელმძღვანელი დავით გეგელაშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი აჟიოტაჟის ატეხვა მერიის მხრიდან საჭირო არ იყო, რადგან იური აბაშიძე განათლების განყოფილების გამგის მოადგილის თანამდებობაზე მხოლოდ დროებით, კონკურსის გამოცხადებამდე დაინიშნა.

სხედან და ცდილობენ, მაგრამ...

სოფიკო ბუკია

"დილიდან სხედან და ცდილობენ თბილისის საუბნო კომისიების ოქმებში, სადაც არ წერია არავითარი ციფრი და ნულებითაა სავსე, თავად მიაწერონ მათვის სასურველი მონაცემები. ამას ეძხიან მექანიკური შეცდომების გასწორებას, ანუ იქ, სადაც ნულია, მოდი ჩავთვალოთ 1353. დილიდან ამით არიან დაკავებულნი, ამიტომაც ორ საათზე დანიშნული სხდომა ხუთზეც ვერ დაიწყეს,"- ამგვარ შეფასებას აძლევს ცესკოს მუშაობას "სოციალისტი" დენის დავითაშვილი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებით შემოსული საჩივრების განხილვა დაიწყო. განხილული იქნება თორმეტი საჩივარი. ცსკას მოუწევს ქუთაისიდან, ფოთიდან, ახალქალაქიდან, ბოლნისიდან და სხვა რეგიონებიდან შემოსული საჩივრების გადახედვა. ჯერ კიდევ სხდომის დაწყებამდე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებს პარტიების წარმომადგენლები უნდობლობას უცხადებენ.

"ცესკოსგან ვითხოვთ ახალქალაქის არჩევნების შედეგების გაუქმებას. ფაქტობრივად, ჩვენთან არჩევნები არ ჩატარებულა. არჩევნების პროცესში აქტიურად ჩაერია პოლიცია, შეიქმნა სრული ქაოსი. დილის თორმეტი საათისთვის, მე, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, არჩევნები მივატოვე. ასე მოიქცა ბევრი საუბნო კომისიის თავმჯდომარეც," - აცხადებს ახალქალაქის საოლქო კომისიის თავმჯდომარე გრიგორ ვართანიანი და, ახალქალაქის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მორჩილად ელოდება საკუთარი საჩივრის განხილვას.

"დარწმუნებული ვარ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია, ჩვეულებისამებრ, ვერაფერს პოზიტიურს ვერ შემოგვთავაზებს. არცერთი დარღვევა, რომელიც თან ახლდა არჩევნებს, შემთხვევითი არ ყოფილა. ყველაფერი კანონზომიერი იყო,"- ირწმუნება "მრეწველი" ზურაბ ტყემალაძე.

"დღეს ცესკომ 2 ივნისის არჩევნების შედეგები უნდა შეაჯამოს, მაგრამ მეეჭვება, რომ დღევანდელ სხდომაზე ეს მოხერხდეს. ამ პროცესს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. არც არჩევნების შედეგების შემოწმებას თანხმდებიან. ყველაფერი მარტივია, გამოაქვეყნონ ყველა საუბნო და საოლქო კომისიების თავჯდომარეების და ექვსკაციანი ჯგუფების გვარები და მიუთითონ, ვინ რომელი პარტიიდანაა. ნახავთ, რომ ყველაზე მეტად ყვირის ის ხალხი, ვისი თანაპარტიელებითაც იყო დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიები. ბიულეტენები რომ გადამოწმდეს, ბევრი, თითქოს შორს წასული პარტია, ორპროცენტიან ზღვარზე აღმოჩნდება,"- ასკვნის "ლეიბორისტი" ავთანდილ ტყებუჩავა და ამბობს, რომ მისი პარტია დიდი სიხარულით მიესალმება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების გადამოწმებას. განსაკუთრებულ გადამოწმებას, ტყებუჩავას აზრით, ვაკის არჩევნებიც საჭიროებს.

"საჩივრები მრავლადაა შემოსული. მაგალითად, ობიექტური იქნება, თუ ქუთაისის არჩევნების შედეგებს საერთოდ გააუქმებენ და იქ არჩევნები ხელახლა ჩატარდება,"-აცხადებს "აღორძინების" წარმომადგენელი ცესკოში არჩილ მორჩილაძე.

ყბადაღებული დადგენილება, რომელიც ცსკამ რამდენიმე დღის წინ მიიღო და რომელიც არჩევნების შედეგების გადამოწმებას გულისხმობს, ცსკას სხდომებზე კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობს. **"პოლიტიკური სიტუაცია დღეს თქვენს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. შეასრულეთ თქვენი დანაპირები, გადაამოწმეთ შედეგები. ამ დადგენილების შეუსრულებლობა შავ ლაქად დარჩება ცესკოს"**- დაანამუსა დამსწრე საზოგადოება პარლამენტარმა მიხეილ ჯოჯუამ.

არმია

„ლიჩკები" და "კლიჩკები"

პირველი გვერდიდან

საჯარისო წოდება ქართულ ჯარში რიგითი და სერჟანტია, უნტეროფიცრისა კი - ზემდეგი. ახალი პროექტის მიხედვით, სერჟანტი ჯარში "პირველი კაცი" ხდება, რაკი მეთაურთა კლასში გადადის, ზემდეგობა კი, რომელიც სიტყვიერად რუსული "პრაპორშიკის" კარგ თარგმანს, პრაქტიკულად კი - ცუდ კალკს წარმოადგენდა, საერთოდ უქმდება.

ხვალიდან, თუ ცვლილებები დამტკიცდა, "პრაპორებს", რომლებიც წითელ არმიაში ჯარისკაცთა მამების ფუნქციას ასრულებდნენ, სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ. სამაგიეროდ, უნდა მივესალმოთ სხვა რუსულ და ინგლისურენოვან ცვილებებს, რომლებიც ჩადებულია პროექტში.

ბრუნდებიან ეფრეიტორები, რომლებიც 3 კლასად დაიყოფიან და კლასით რიგითზე ზემოთ იქნებიან. მათ ზემოთ კი იქნება უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც უკვე კონტრაქტით იმსახურებს: კაპრალი, უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი, მასტერ სერჟანტი, ბატალიონის (შტაბის) სერჟანტი, ბრიგადის სერჟანტი, მთავარი სერჟანტი და სერჟანტ-ლეიტენანტი, რომელიც მთელ არმიაში სულ ერთი გვეყოლება. იგი თანამდებობრივად გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწე იქნება, სტატუსით კი - ყველა სერჟანტის ხელმძღვანელი.

საზღვაო ძალებში რიგითს რატომღაც მატროსი (და არა ქართული მეზღვაური) ერქმევა, სერჟანტს - მიჩმანი.

ყოველი ახალი წოდების მისანიჭებლად აუცილებელი იქნება არა მხოლოდ ნამსახურობის დადგენილი ვადა, არამედ რამდენიმე თვიანი სასწავლო კურსის გავლაც. საბოლოო ჯამში, მთავარ სერჟანტებსა და სერჟანტ-ლეიტენანტებს აუდიტორიებში მეტი დრო ექნებათ გატარებული, ვიდრე პროფესორებსა და აკადემიკოსებს.

აქ კი მთავარ სათქმელს მივადექით: უნტეროფიცრის ინსტიტუტის გაძლიერება მოითხოვს იმდენივე სასწავლო კურსის შემოღებას, რამდენი წოდებაც იარსებებს. ამას კი სჭირდება არა მხოლოდ განსხვავებული პროგრამების დამუშავება, არამედ ელემენტარული კლასები და მათი სათანადოდ აღჭურვა. სწორედ ეს არის, პატივმოყვარე ქართველებს რომ არ აძლევს სამხრეებზე ახალი "ლიჩკების" სასწრაფოდ დაკერების შანსს.

უნტეროფიცერთა (გერმანული სიტყვაა! –თ.გ.) ინსტიტუტის შემოღებაში დახმარება ბუნდესვერმა ითავა. ამ ბოლო დროს მათი სპეციალისტები ქართველ კოლეგებს გამოცდილებას უზიარებენ. მათივე დაპირების მიხედვით, გერმანიის მთავრობა დააფინანსებს გორის სასწავლო ცენტრის მოდერნიზებას. ეს არის ერთადერთი სასწავლებელი, სადაც დღეს გადიან მომზადებას სერჟანტები, თუმცა, სწავლის ხარისხი, დასავლური გაგებით, სერჟანტის დონესთან ახლოსაც ვერ მიდის.

გამრავლება ელით გენერლებსაც. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ტრადიციული ქართული "ღმერთმა ამრავლოთო" არ უნდა ითქვას. პროექტის მიხედვით გათვალისწინებული 4 საგენერლო (შემოდის ბრიგადის გენერლის წოდება) და 3 საადმირალო წოდება ერთადერთ კითხვას ბადებს, თუმცა, კითხვის მრავალი ნიშნით - სჭირდება კი 20-ათასიან ქართულ არმიას, რომელსაც ხვალ კიდევ აუცილებლად შეამცირებენ, ამდენი გენერალი(???)? შეერთებულ შტატებში, რომლის სამხედრო გამოცდილებაც ჩვენში სამაგალითოდ არის მიჩნეული და რომლის ჯარიც ჩვენსაზე "საგრძნობლად" დიდია, გენერლის სულ ხუთი წოდებაა, თუმცა უმაღლესი - "არმიის გენერალი", ლეგენდარული ეიზენჰაუერის შემდეგ არც არავისთვის მიუნიჭებიათ. აღარაფერს ვამბობთ სამ საადმირალო წოდებაზე იმ საზღვაო ძალებისთვის, რომლის დამრტყმელ ძალასაც გემბანზე ტყვიამფრქვევდადგმული სეინერები წარმოადგენენ. ასე საქმე იქამდე მივა, რომ ყოველ ძირგავარდნილ კატარღას თითო ადმირალი უმეთაურებს.

ჯარისკაცი, რომელიც გენერლობაზე არ ოცნებობს, უვარგისი ჯარისკაცია. მაგრამ ქვეყანა, სადაც ჯარისკაცებს ეს ოცნება იოლად უსრულდებათ, უვარგისი ქვეყანაა. საქართველოში (თუ თავდაცვის სამინისტროს გეგმებს სრულად უწერია ახდენა და ერთ მუჭა ჯარში ამდენი გენერალ-ადმირალი უნდა გვყავდეს) მალე ასეთ პატივზე მეოცნებეც აღარავინ დარჩება - რა საჭიროა ოცნება იმაზე, რაც ისედაც ჯიბეში გაქვს?

უცხოეთი

ალიევი და პუტინი კასპიის ზღვას გაიყოფენ

გიორგი ხელაშვილი

დღეს სანკტ-პეტერბურგში იგეგმება რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის კასპიის ზღვის ფსკერის გაყოფის თაობაზე შეთანხმების ხელმოწერა.

ამ შეთანხმების ხელმოწერა, როგორც ჩანს, უფრო გაამწვავებს დაძაბულობას კასპიის ზღვის რეგიონში.

რუსეთი და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ, რომ კასპიის ზღვას სანაპირო ხაზების სიგრძის მიხედვით გაიყოფენ. ეს შეთანხმება მესამე მხარეს, ირანს, ზღვის ფსკერის მხოლოდ 13 პროცენტს არგუნებს, მაშინ, როდესაც თეირანს 20 პროცენტის იმედი ჰქონდა.

გასულ თვეში, აშხაბადში, კასპიის ზღვის გაყოფის თაობაზე ხუთი სახელმწიფოს შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. ამან რუსეთს, აზერბაიჯანსა და ყაზახეთს გადააწყვეტინა, ირანისა და თურქმენეთის ზურგს უკან გაეყოთ ზღვის შელფი. რუსეთმა და ყაზაზეთმა უკვე დაადგინეს ერთმანეთს შორის საზღვაო მიჯნა. დღეს კი იმავეს ვლადიმირ პუტინი და ჰეიდარ ალიევი გააკეთებენ.

მოსალოდნელი შეთანხმების მიხედვით, კასპიის ზღვის სამხრეთში მდებარე ალოვ-შარგ-არაზის ნავთობით მდიდარი საბადო აზერბაიჯანს მიეკუთვნება, მაშინ, როდესაც ირანი ამ საბადოს თავის საკუთრებად მიიჩნევს. წინა წელს ირანის სამხედრო გემებმა აზერბაიჯანული ხომალდები ძალით სწორედ ამ სექტორიდან გააძევეს. ახლა კი რუსეთმა ეს საბადო აზერბაიჯანის საკუთრებად ცნო. როგორც "24 საათის" 7 ივნისის ნომერში ვწერდით, რუსეთის პოზიცია საკუთარი ინტერესების დაცვითაა განპირობებული: ალოვ-შარგ-არაზის საბადოს დამუშავებას, როგორც ჩანს, რუსული ნავთობკომპანია "ლუკოილი" შეუდგება.

მიმდინარე მოვლენები მოწმობს, რომ რუსეთისა და ირანის ინტერესები ერთმანეთს სულ უფრო შორდება. სტრატეგიული მოკავშირეობის თაობაზე მრავალი განცხადების მიუხედავად, რუსეთი თეირანთან ურთიერთობების გაუარესებაზე წავიდა. ძნელი სათქმელია, ეს ნავთობის მხოლოდ ერთი საბადოს გამო მომხდარიყო. მიზეზები უფრო ფართო გეოპოლიტიკურ ცვლილებებში უნდა ვეძიოთ.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რამდენიმე დღის წინ ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს დეპეშით სრული მხარდაჭერა აღუთქვა კასპიის ზღვის გაყოფისა და ნავთობის მოპოვების საკითხებში. ეს მხარდაჭერა განსაკუთრებით მეტყველია ირანსა და შეერთებულ შტატებს შორის ბოლო დროს უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობის ფონზე.

რა თქმა უნდა, დასკვნების გამოტანა ჯერ ადრეა, მაგრამ ბოლო ხანებში გამოკვეთილი ტენდენცია ცხადად მოწმობს კასპიის ზღვის გაყოფის საკითხის სულ უფრო მეტად გამწვავებას.

თუ დაპირისპირება ამგვარი ტემპით გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, რომ აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობებში სამხედრო ძალაც ჩაერიოს, მით უფრო, რომ რუსეთის მხრიდან ირანის მხარდაჭერა სულ უფრო სუსტდება, კასპიის ზღვის რეგონში ამერიკის საგარეო პოლიტიკა კი სულ უფრო აქტიურდება.

ბუში საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტისთვის ბრძოლას აპირებს

აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის აზრით, ახალი ძალოვანი სტრუქტურის - საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტის შექმნის გეგმის განსახორციელებლად მას ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლა ელის. ამ საკითხზე კონგრესის ლიდერებთან კონსულტაციების ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, კონგრესის ნაწილი ახალი სტრუქტურის შექმნას შეეწინააღმდეგება. ალბათ, უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ ახალი უწყების შექმნით მოხდება ფინანსებისა და პერსონალის ნაწილის სხვა უწყებებიდან ახალ სტრუქტურაში გადმოსროლა. გარდა ამისა, მის კომპეტენციაში გამოძიების ფედერალური ბიუროსა და დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფი ზოგიერთი საკითხიც მოხვდება.

საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტი

პრეზიდენტ ბუშის მიერ წარდგენილ სამინისტროს დონის უწყებას, რომელსაც ქვეყნის შიგნით უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქცია დაეკისრება, 37,5 მლრდ. დოლარის ბიუჯეტი ექნება და მასში 169,154 ადამიანი დასაქმდება. "გიგანტი" საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტი სამინისტრო უწყებებს შორის სიდიდით მესამე იქნება და სხვა უწყებების სამ მნიშვნელოვან განყოფილებას მოიცავს – საიდუმლო სამსახური, საბაჟო სამსახური და სანაპირო დაცვა.

საშინაო უსაფრთხოების უწყების შეთავაზებული ბიუჯეტები:

საზღვრისა და ტრანსპორტირების უსაფრთ.	
სანაპირო დაცვა	$7.27 მლრდ.
იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური	$6.42 მლრდ.
ტრანსპორტირების უსაფრთხოების ადმინისტრაცია	$4.80 მლრდ
საბაჟო სამსახური	$3.80 მლრდ.

საგანგებო მზადყოფნა და პასუხი	
საგანგებო მართვის ფედერალური სააგენტო	$6.17 მლრდ.
ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული პასუხი	$2.10 მლრდ.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული კონტრღონისძიებები	
სამოქალაქო ბიოთავდაცვის კვლევითი პროგრამები	$1.99 მლრდ.
ლოურენს ლაივერმორის ეროვნული ლაბორატორია	$1.19 მლრდ.

საინფორმაციო ანალიზი და ინფრასტრუქტურის დაცვა	
ეროვნული საკომუნიკაციო სისტემა	$160 მლ.
ეროვნული ინფრასტრუქტურის დაცვის ცენტრი	$150 მლ.

აშშ-ის მთავარი სადაზვერვო სააგენტოები

გამოძიების ფედერალური ბიურო: შეიქმნა 1917 წელს აშშ-ის ტერიტორიაზე პირველი მსოფლიო ომის პერიოდის ჯაშუშებისა და საბოტიორების მოღვაწეობის აღსაკვეთად;
- **დასაქმებულია 27.800 ადამიანი**

დაზვერვის ცენტრალური სააგენტო: შეიქმნა 1947 წელს უცხოური სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებისა და საიდუმლო მისიების მართვისთვის; სააგენტოს დირექტორი აშშ-ის სადაზვერვო ღონისძიებების
- **მთავარი კოორდინატორია.**

ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო: შეიქმნა 1952 წელს ელექტრონული მოსმენის
- **საწარმოებლად.**

თავდაცვის სადაზვერვო სააგენტო: შეიქმნა 1961 წელს სადაზვერვო და ანალიტიკური ღონისძიებების კოორდინირებისთვის.
- **დასაქმებულია 7.000 ადამიანი**

შირაკი საპარლამენტო არჩევნებსაც მოიგებს

საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, ჟაკ შირაკის მემარჯვენე პარტია დღევანდელ საპარლამენტო არჩევნებს მოიგებს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ფრანგულ სამსახურებს მოსახლეობის ნდობა დაკარგული აქვთ. მათ ვერ შეძლეს 21 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებში ლე პენის წარმატების განჭვრეტა. მიუხედავად ამისა, მათ პროგნოზს ჯერ კიდევ ანგარიშს უწევენ.

ფრანგებმა პარლამენტის 577 წევრი უნდა აირჩიონ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სამსახურების მონაცემებით, დღევანდელ საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტ ჟაკ შირაკის მხარდამჭერი კონსერვატიული ძალები მემარცხენეებს აჯობებენ და საფრანგეთის ეროვნულ კრებაში უმრავლესობას მოიპოვებენ. ბოლო გამოკითხვების თანახმად, ძალების შეფარდება 40 პროცენტია 36 პროცენტის წინააღმდეგ. გამოკითხვების შედეგებით, ულტრამემარჯვენე ლე პენის ეროვნული ფრონტი რამდენიმე ადგილს მოიპოვებს და პარლამენტში დაბრუნდება.

თუმცა, როგორც გავლენიანი ფრანგული გაზეთი "მონდი" აღნიშნავს, არჩევნები "მრავალუცნობიანი" იქნება. თითოეულ ადგილზე ასარჩევი კანდიდატების სიმრავლემ და ამომრჩეველთა დაბალმა აქტიურობამ შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნების მაგვარი სიურპრიზები შემოგვთავაზოს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საფრანგეთში ე. წ. "თანაცხოვრების" პოლიტიკური ვითარება არსებობდა, რომელშიც პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს ეკუთვნოდნენ, რაც სერიოზულად აფერხებდა გადაწყვეტილებების მიღებას.

დღეს პრეზიდენტ შირაკს და მემარჯვენეებს ამ ვითარებიდან გამოსავლის შანსი ეძლევათ. თუ ისინი არჩევნებს მოიგებენ, მაშინ პრეზიდენტს თავისი მორჩილი პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ჩამოყალიბების შესაძლებლობა მიეცემა. მემარცხენეების დაქსაქსულობისა და მემარჯვენეების შედარებითი შეკავშირებულობის გათვალისწინებით, ეს მართლაც ყველაზე უფრო მოსალოდნელი შედეგია.

ეკონომიკა

პენტიუმ-4-ის ფასები ეცვემა

იერი ლოგოდინის ფოტო

CNET News.com. კომპიუტერული ჩიპების მწარმოებელმა გიგანტმა - "ინტელმა" თავისი უახლესი მოდელის, პენტიუმ-4-ის პროცესორებზე ფასები 53 და მეტი პროცენტით შეამცირა. ასეთი ნაბიჯი ამ კომპანიისთვის, გარკვეულწილად, წინასაზაფხულო ტრადიციად იქცა, რომელიც მის საუკეთესო ჩიპზე მოთხოვნილების გაზრდის სტიმულირებას ისახავს მიზნად.

კალიფორნიულმა "ინტელმა" დესკტოპებისთვის განკუთვნილ ჩიპებზე ფასები 12-დან 43 პროცენტამდე შეამცირა. 2.4 გიგაჰერციანი ჩიპის ფასი $562-დან $400-მდე, ანუ 29 პროცენტით, ხოლო 2.26 გიგაჰარციანი და 2.2 გიგაჰერციანი ჩიპებისა კი - $423-დან $241-მდე (43 პროცენტით) დაეცა. სხვა პენტიუმ-4-ის ფასები 12-დან 32 პროცენტამდე შემცირდა.

ნოუთბუქებისთვის განკუთვნილ პროცესორებზე ფასები ამაზე მეტად დაეცა. პენტიუმ-4-ის პროცესორიანი ნოუთბუქები მოსალოდნელზე გაცილებით ნაკლები წარმატებით იყიდება, განსაკუთრებით, კორპორატიულ ბაზარზე. ეს ჩიპები, უმეტესად, დესკტოპებში გამოიყენება და არა ნოუთბუქებში. ამის გათვალისწინებით, მათზე ფასების შემცირება სავსებით მოსალოდნელი იყო.

1.8 გიგაჰერციანი მობილური პენტიუმ-4-ის ფასი 48 პროცენტით, $637-დან 348 დოლარამდე დაეცა, მაშინ, როცა 1.7 გიგაჰერციანის ფასი $508-დან $241, ანუ 53 პროცენტით შემცირდა. 51 პროცენტით ($401-დან $198-მდე) გაიაფდა 1.6 გიგაჰერციანი პენტიუმის ჩიპი. "ინტელმა" ასევე მნიშვნელოვნად შეამცირა ფასები პენტიუმ-3-ის ჩიპებზე.

ექსპერტთა შეფასებით, ჩიპებზე ფასების ასეთმა შემცირებამ პერსონალური კომპიუტერების გაიაფება უნდა გამოიწვიოს. წლის დასაწყისში კომპიუტერების მწარმოებელმა რამდენიმე კომპანიამ ფასები გაზარდა და შეცვალა ზოგიერთი სამომხმარებლო მოდელის კონფიგურაცია. ამის მიზეზი LCD-სა (თხევად-კრისტალური მონიტორები) და მეხსიერებაზე ფასების მატება იყო. მაგრამ ეს ტენდენცია საკმაოდ მალე მნიშვნელოვნად შეიცვალა. მართალია, მოთხოვნილება LCD-ზე მაღალია, მაგრამ ფასები მეხსიერებაზე საგრძნობლად დაეცა. გარდა ამისა, გაყიდვების ზრდის სტიმულირების მიზნით, კომპიუტერების ბევრმა მწარმოებელმა კომპანიამ გაზარდა ფასდაკლებები პროდუქციის საწყობებიდან შემძენთათვის.

მოსალოდნელია, რომ "ინტელის" კონკურენტი მიკროპროცესორების წარმოებაში, კომპანია Advanced Micro Devices მალე გამოაცხადებს ფასების შემცირების შესახებ, რათა "ინტელის" ფასებს "დაეწიოს". უახლოეს დღეებში განაცხადებს ფასების შემცირებაზე ჩიპების სხვა მწარმოებელი კომპანია AMD-ც.

ყოველწლიურად, ზაფხულის დასაწყისში ფასების ასეთი სერიოზული შემცირება "ინტელისა" და AMD-თვის გარკვეული "მომაგრების" როლს ასრულებს. 2001 წლის მარტში "ინტელის" ხელმძღვანელები დაპირდნენ საზოგადოებას, რომ პენტიუმ-4, რომელზეც მაშინ მხოლოდ უმაღლესი კატეგორიის მომხმარებელს მიუწვდებოდა ხელი, წლის ბოლოსთვის პენტიუმ 3-ს ჩაანაცვლებდა, რაც ფასების შემცირებით გახდებოდა შესაძლებელი. ასეც მოხდა: შარშან აპრილსა და მაისში ფასები 60 და მეტი პროცენტით შემცირდა და წლის ბოლოს ამერიკაში პენტიუმ-4-მა მართლაც ჩაანაცვლა პენტიუმ-3.

„ქემელის„ მწარმოებელი კომპანია დააჯარიმეს

ბი-ბი-სის ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოს სასამართლომ დაადგინა, რომ ამერიკაში სიდიდით მეორე სიგარეტის მწარმოებელმა კომპანია RJ Reynolds (RJR)-მა საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაცია მოზარდებში მოახდინა, როდესაც სარეკლამო პუბლიკაციები ისეთ გამოცემებში გამოაქვეყნა, როგორებიცაა: "როლინგ სტოუნი" და "სპორტ ილუსტრეიტედი". RJ Reynolds (RJR) ცნობილი მარკის "ქემელის" მწარმოებელია.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ თამბაქოს რეკლამის განთავსებით ისეთ გამოცემებში, რომელთაც, უმთავრესად, მოზარდები კითხულობენ, კომპანიამ დაარღვია 1998 წლის პაქტი, რომლის თანახმადაც, ამერიკის 46 შტატში თამბაქოს მწარმოებლებს საკუთარი სარეკლამო პროდუქციის რეციპიენტებად ახალგაზრდების არჩევა აუკრძალეს.

ჯარიმის გარდა, სან-დიეგოს სასამართლომ RJ Reynolds (RJR)–ს ახალგაზრდული აუდიტორიისთვის ამ ფირმის სარეკლამო აქციების შემცირება დააკისრა. სასამართლოს ეს მოთხოვნა კომპანიის ხელმძღვანელობამ გააპროტესტა. RJ Reynolds (RJR)-ში მიიჩნიეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ცენზურაა. მათი განცხადებით, კომპანია რეკლამას აქვეყნებს მხოლოდ იმ გამოცემებში, რომელთა მკითხველების 75 პროცენტს ზრდასრული აუდიტორია წარმოადგენს.

ამ მოსაზრებას არ იზიარებს მოსამართლე, რომელმაც სიგარეტის მწარმოებელი კომპანიის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო. მისი თქმით, RJ Reynolds (RJR)-ის კონკურენტები, როგორებიცაა: Philip Morris და Brown & Williamson თანახმანი არიან, არ განათავსონ საკუთარი სარეკლამო პუბლიკაციები ისეთ გამოცემებში, რომელთა მკითხველების 15 პროცენტს 12-17 წლის მოზარდები შეადგენენ.

რუსი ბიზნესმენები მსოფლიოს საუკეთესო ბიზნესმენთა ელიტაში დაასახელეს

ამერიკული ჟურნალი "ბიზნეს-უიკი" თავის ევროპულ გამოცემაში ბიზნესის 50 საუკეთესო წარმომადგენელს ასახელებს. ჟურნალის მოხსენების მიხედვით, ევროპის ეკონომიკაში საქმეები კარგად არ მიდის. ევროს კურსმა მხოლოდ ახლახანს დაიწყო გამყარება დოლართან მიმართებაში. თანაც, ევროპული ბიზნესის ისეთ გიგანტებს, როგორებიცაა: Vodafone, Vivendi Universal და Deutsche Telekom საუკეთესო დღეები აშკარად არ უდგათ.

ამასთან, მძაფრდება პოლიტიკური დაპირისპირება. ევროპის ქვეყნებში წარმატებას აღწევენ ულტრანაციონალისტური პარტიები. თანაც, ახლოდება 2004 წელი, როდესაც ევროპის კავშირმა რამდენიმე ახალ სახელმწიფოს კარი უნდა გაუღოს.

საუკეთესო 50 ბიზნესმენს შორის ყველაზე მეტად ფრანგები არიან წარმოდგენილნი, თუმცა ნოვატორობით ბრიტანელები გამოირჩევიან.

"ბიზნეს-უიკის" მოხსენებაში ცალკე ჯგუფად არიან წარმოდგენილნი ის ადამიანები, რომლებმაც, ჟურნალის შეფასებით, "ახალი გზები გაკვალეს". ამ ჯგუფს რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ანდრეი ილარიონოვი უდგას სათავეში. საუკეთესო მეწარმეთა შორის რუსეთის კიდევ ერთი წარმომადგენელი, კომპანია "საინფორმაციო ბიზნეს-სისტემების" დამაარსებელი - ანატოლი კარაჩინსკი მოხვდა. სხვათა შორის, რუსეთის წარმომადგენლებმა პირველად დაიმკვიდრეს ადგილი ევროპის საქმიანი წრეების ვარსკვლავთა შორის.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარზედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე, კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

ხაზზეა კვირის ვერსონა

პირველი გვერდიდან

ჩვენი კომისია ანგელოზებისგან არ შედგება

- ცესკო არ უნდა იყოს დაკომპლექტებული პარტიის წარმომადგენლებისაგან და მე ყოველთვის ამ აზრზე ვიყავი. სხდომის დროს ისინი კონსულტაციებს იღებენ პარტიის ლიდერებისგან, რომლებიც საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობენ. პარლამენტი ყოველთვის პრეტენზიულია ჩვენს მიმართ და ხმამაღლა ამბობს ამას. მეც მაქვს პარლამენტთან პრეტენზია -საარჩევნო კანონი ძალიან ცუდია. ისეა ცესკოს სტრუქტურა მოწყობილი, რომ გაყალბების აღკვეთაც კი გვიჭირს.

ისე იზრდებოდა ეს ავადმყოფობა, რომ ჩვენ ველარაფერს ვუშველიდით

- გავიმეორებ დავით უსუფაშვილის ნათქვამს - საქართველო, სამწუხაროდ, არ არის მზად არჩევნებისათვის. შარშან პირადად მე ვიყავი არჩევნების გადადების მომხრე, ამ წინადადებით პრეზიდენტთანაც შევედით და დავარწმუნეთ, რომ არჩევნები უნდა გადადებულიყო. ახლა ვფიქრობ, ნეტა ჩატარებულიყო. რაც დრო გავიდა, სიტუაცია გართულდა. ჩვენ რომ არჩევნები ორში არ ჩაგვეტარებინა, ისე იზრდებოდა ეს დაპირისპირება, რომ ქვეყანა თავზე დაგვექცეოდა. პარადოქსია, მაგრამ ამან თავისი როლი მაინც შეასრულა... ყველა ნაკლი გაშიშვლდა და გამომზეურდა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ასეთი ფსიქოზი არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დაიწყო. შეიძლება, სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ რაღაცა ხდება ბუნებაში. ძალიან დიდი დაპირისპირებაა ხალხში და ამის მიზეზი, ნუ ეწყინებათ პარტიის ლიდერებს, სწორედ პარტიული დაპირისპირებაა... ასეთი არჩევნები, ალბათ, არსად ყოფილა. ეს ძალიან მწარე გაკვეთილია ჩვენთვის და ჩვენ სერიოზული დასკვნები უნდა გავაკეთოთ.

არჩევნები არ იმართებოდა

- ცესკო ერთი თვის განმავლობაში უზარმაზარ ზეწოლას განიცდიდა. წინასაარჩევნო პერიოდი ურთულესი პოლიტიკურ სიტუაციაში წარიმართა, რომელმაც ცხადია, საშინელი გავლენა მოახდინა ჩვენს მუშაობაზე. ჩვენ უნდა დაგვებეჭდა 1000 სახეობის სხვადასხვა ბიულეტენი, რომლის საერთო რიცხვი 6 მილიონი იყო. პარლამენტმა, იმის გამო, რომ პარტიის ხელმძღვანელებმა ერთი აურზაური ატეხეს, რეგისტრაციის ვადა 5 დღით გააგრძელა (8 მაისს უნდა დამთავრებულიყო და გააგრძელეს 13 მაისამდე). გარკვეულად ეს ჩვენ გაგვეხარდა. ამის შემდეგ ჩივილი და სასამართლოები დაიწყო. იძულებული ვიყავით, სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის გვეცადა. მხოლოდ 20 რიცხვიდან მოგვეცა ბიულეტენების დაბეჭდვის საშუალება. ამ ხნის მანძილზე ცესკო პარალიზებული იყო. ვერ დავადგინეთ მოქკავშირის მემკვიდრე გუნდი, მეტსაც გეტყვით - 7 დღის განმავლობაში მე ვიყავი ტერორიზებული. ერთ დღეს 30 პარლამენტარი მოვიდა, მეორე დღეს - 40, ჩვენი შენობა გაშემორტყმული იყო. იყო ზეწოლა, რომ ჩვენ სამართალმემკვიდრედ კვარაცხელია გვეცნო.. მე არაფერს ვმალავ, პრეზიდენტთანაც მქონდა ამაზე საუბარი, სამჯერ ვესაუბრე, მწვავე ლაპარაკიც იყო... მოდის 28 პარტიის ლიდერი (ხომ იცით, როგორი ყოჩაღები არიან კარგი და ცუდი გაგებით) და გააფთრებულები მოითხოვენ არჩევნების გადადებას. მე ადვილად დავეთანხმე მათ. იურიდიულად ეს ძალზე რთული გასაკეთებელია, არჩევნებამდე 4 დღით ადრე ცესკოს დადგენილების მიღების უფლება არ აქვს. მე მინდოდა, რაიმე საშუალება გამოძებნილიყო ამის გადასადებად, ან უნდა თქმულიყო, რომ ჩვენ დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ. მკითხავთ, სად იყავი აქამდეო. მინდა გითხრათ, რომ სულ ვამბობდი - არის პრობლემა, მაგრამ არ შეიძლებოდა პირდაპირ მომეთხოვა არჩევნების გადადება. შარშან რომ გადაიდო, მაშინაც ჯვარს მაცვეს. არჩევნების გადადება არ არის პოლიტიკურად გამართლებული.

ბიულეტენი არც მე მომიტანეს

- უმძიმესი მდგომარეობაა! ჩვენ არ ვიცით მოსახლეობის რაოდენობა და მით უმეტეს, საიდან გვეცოდინება ამომრჩეველთა ზუსტი სიები, რომელიც არჩევნების ქვაკუთხედია. ვაცხადებ ოფიციალურად და მთელი პასუხისმგებლობით - არჩევნები ტოტალურად არ გაყალბებულა. არის რეგიონები, სადაც პრობლემები არ ყოფილა, მაგრამ საერთო სურათი რომ დავხატო, საკმაოდ პარადოქსული გამოვა: ძირითადი სიების ამომრჩეველთა დიდი ნაწილი დამატებითში მოხვდა, მაგრამ ამასაც არაუშავს, თუ ის სიები მაინც სწორად იქნა შედგენილი.

დაიჯერებთ, რომ ბიულეტენი არც მე და არც ჩემს ვაჟს არ მიგვიღია? ეს ხომ პარადოქსია?

იქნებ იმიტომ დაგვიანდა ბიულეტენები, რომ თავიდანვე აირია სტამბების საკითხი

- არავითარ შემთხვევაში. თბილისში ნახევარი მილიონი ბიულეტენი დაიბეჭდა. მე პირადად ვხელმძღვანელობდი ბიულეტენების ბეჭდვის საკითხს. არასდროს არ გაგვჯანჯღლებია მათი დაბეჭდვა. დაგვიანების პირველი მიზეზი გახლდათ ის, რომ ბიულეტენების ბეჭდვა ერთი თვის ნაცვლად ათი დღით ადრე დაიწყო, იმის გამო, რომ არ ვიცოდით, მოქალაქეთა კავშირის დავა როგორ გადაწყდებოდა. "მრეწველები" პირდაპირ ზეწოლას ახდენდნენ, ბიულეტენებს არასაკმარისი დაცვა აქვთო და ა.შ. წავედი ამ დათმობაზე და ხელახლა დავბეჭდეთ ეს ბიულეტენები, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ზარალს ვაყენებდი სახელმწიფოს. შემდეგ დაიწყო ლაპარაკი, რომ გავაძლიეროთ დაცვებიო და ნელ-ნელა გადავედით სტამბა "კაბადონზე". აღმოვჩნდი ძალიან რთულ სიტუაციაში, სასწრაფოდ შევქმენი ჯგუფი, რომელიც უხელმძღვანელებდა ბეჭდებსა და სხვადასხვა ატრიბუტიკას.

საინტერესო რამეები ხდება...

- ჩვენ დღეს ზუგდიდისა და დუშეთის განმეორებითი ბიულეტენები უკვე დაბეჭდილი გვაქვს, მაგრამ ცოტა ხნის წინ დამირეკეს და მითხრეს, რომ სასამართლომ გააუქმა ცესკოს გადაწყვეტილება, ზუგდიდში არჩევნების ხელახალი დანიშვნის თაობაზე. ასეთი რამ საერთოდ გაუგებარია.

მე ბევრი დარღვევა შევაჩერე, მაგრამ ბევრი, შეიძლება, ვერც გავიგე

- ამას გულწრფელად გეტყვით, მაგრამ ეს არ მამართლებს. მე ვარ ხელმძღვანელი და ვაგებ პასუხს ყველაფერზე. დიდი ხანია მინდოდა წასვლა, მაგრამ მორალურად ვერ ვტოვებდი საქმეს. თუმცა ისეთი ჯოჯოხეთი გავიარე, ვერ წარმოიდგენთ...რა არ გადამიტანია, მაგრამ როცა ჩემს თავთან მარტო ვრჩები, თავს ვეკითხები, რა დავაშავე, რატომ მოვხვდი ამ ჯოჯოხეთში? თუმცა, ეს საკუთარ თავს და არა თქვენ უნდა გკითხოთ. დიდი ხნის წინ გადავდგებოდი, რომ არა ეს ვითარება. მე გადაწყვეტილება უკვე მიღებული მაქვს. სულიერ ძალას ის მაძლევს, რომ საზოგადოებამ იცის ჩემი პატიოსნების შესახებ.

არ დამცხრალა ბრძოლა არჩევნების გარშემო

- პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება - არსებული სიებით არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. საზოგადოება ისეთ დონემდეა მისული, ღმერთმა დაიფაროს, ეს რაიმე დაპირისპირებაში გადაიზარდოს. მომავალში უნდა იცოდნენ, რომ არ უნდა დაინიშნოს არჩევნები, სანამ არ მოწესრიგდება სიები. ეს ყველაზე დიდი პრობლემაა. პირადობის მოწმობა, სადაც მისამართი წერია, უსათუოდ უშველის პრობლემას. რაც შეეხება ჟვანია-კვარაცხელიას სიებს, ჩვენ ძალზე სწორად მოვიქეცით, როცა უარი ვუთხარით ორივე მხარეს. ჩვენ რომ რომელიმე პარტია გაგვეტარებინა, იქ სისხლი დაიღვრებოდა... ეს დავა მერე სასამართლოში წავიდა და სასამართლომ გადაწყვიტა.

ისეთი ფსიქოზია, ვინც კი უკმაყოფილოა, ყველა წერს საჩივარს. გადათვლის წესი ძალზე რთული და მნიშვნელოვანია. უნდა გაიხსნას ყუთები, წესი დადგინდეს და შემოწმდეს. ეს წესი დადგენილებით მიიღება. თუ დადგენილებას 12 ხმა უნდა, გადაწყვეტილებისთვის 10 საკმარისია. ვაცხადებ, რომ მე მომხრე ვიყავი დადგენილებისა, კენჭი ვუყარეთ ღია წესით და 2 თუ 3 ხმა დააკლდა, რითიც არამარტო საკრებულოს გარეთ დარჩენილი პარტიები დარჩნენ უკმაყოფილო, არამედ თვითონ საკაშვილის პარტიაც, რომელიც ამ დადგენილების ინიციატორი იყო. პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომ გადამოწმებულ იქნეს აქამდე ჩატარებული ყველა არჩევნების შედეგები - დაწყებული პარლამენტიდან, ადგილობრივი და ასე შემდეგ. 12 ივნისს ცესკომ მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა შეაჯამოს არჩევნების შედეგები. ამას წინ უსწრებს თბილისის არჩევნების შეჯამება. პარლამენტის მიერ შექმნილ კომისიას, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გადამოწმება ერთი თვის ვადაში დაევალა, რაც შეეხება სხვებს, ეს უნდა მოხდეს სექტემბრის დასაწყისისთვის. ჩვენ რთულ პოზიციაში ვართ.

ჭორბენაძის შეფასებები არასწორია

- ცესკოს მუშაობას ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა უსუსური უწოდა... ვინც ამას ამბობდა, თვითონაც ხელი უნდა შეეწყო ჩვენი მუშაობისთვის. ამის შესახებ პრეზიდენტთან საკმაოდ დაძაბული საუბარი მქონდა. არ მინდოდა საჯაროდ თქმა: მაშინ პრეზიდენტს ვუთხარი, რომ ვინც პრეტენზიებს გვიყენებს, მოვიდეს და თავად ჩაატაროს არჩევნებიო. პრეზიდენტი გამიბრაზდა, მაგრამ მოგვიანებით მიხვდა, რომ მართალი ვიყავი, დამირეკა და დამიყვავა.

ცესკოს აპარატმა და მთელმა ცესკომ 10 დღეში თვენახევრის სამუშაო ჩაატარა, ეს გაუგონარი რამ არის... თუმცა, ვიღაცამ შეიძლება ირონიულად შეხედოს ამას. ერთხელ მაინც გვკითხეს, თუ რას ვაკეთებთ, რა გვიჭირდა? ფული საერთოდ ერთი თვის დაგვიანებიოთ მივიღეთ. რუსეთში ასეა, თუ არჩევნების დანიშვნის დღიდან ათ დღეში ფული არ იქნება გადმორიცხული, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია... მე კი ნახევარზე მეტ დროს სხვადასხვა ინსტანციებში ჯამაგირისა და სხვა ხარჯებისთვის თანხების თხოვნაში ვატარებდი. ყველაფერი დაგვიანდა.

საარჩევნო პროცესი ერთი დიდი ჯაჭვია. ამ ჯაჭვში ერთი რგოლი რომ გაწყდება, რთული პროცესები იწყება. შარშანდელი ხელფასები წელს გავისტუმრეთ. პირადად ჯორბენაძის მიმართ არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ მისი შეფასებები არასწორია. არჩევნებს ცესკო კი არ ატარებს, ატარებს საქართველო, მთელი ქვეყანა. მე არავისი მეშინია. პრეზიდენტთან მძაფრი საუბარი მქონდა - თქვენი ავტორიტეტი საფრთხეშია-მეთქი...დამეხმარა რამეში სახელმწიფო მინისტრი? არავინ ხელს არ ანძრევდა... ყოველი მხრიდან შევიწროვებული ვიყავი...

არის თუ არა „არჩევნების გენიოსი" ხათუნა გოგორიშვილი?

- ქალბატონი ხათუნა ძალზე ნიჭიერი ადამიანია, შესანიშნავად იცის კანონი, აქვს კარგი ლოგიკა, აქვს გამოცდილება და გარკვეულად მისი მონაწილეობა ცესკოში ძალზე სასარგებლოა. შეუძლია ძალზე კარგად დაასაბუთოს, შეაფასოს მოვლენები და ცოტა გაუგებარია ჩემთვის, რაში ადანაშაულებენ მას?

თანამდებობიდან გადადგომა პრობლემა გახდა ყველასთვის, დაწყებული პრეზიდენტიდან....

- მე ეს პრობლემა არასდროს მქონია. აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორობიდან (შეიძლება დიდი თანამდებობა არ იყო) გადავდექი, როცა საჭირო იყო. დიდი სიამოვნებით დავუბრუნდები ჩემს საყვარელ საქმეს, რომლისგანაც სულაც არ წავსულვარ შორს.

ჩვენ, ქართველები, ძალიან ტოლერანტი ხალხი ვართ, გვიყვარს ნათესავები, მეგობრები. მეც ძალიან გამეხარდება, ჩემმა ახლობელმა რომ გაიმარჯვოს არჩევნებში, მაგრამ უკანონოდ თუ გავიდა, რა... ერთ-ერთ რაიონში, რომელიღაც საუბნო კომისია კაცმა თავისი ცოლით, ცოლისდით, ძმით დააკომპლექტა და თქვა, რა მოხდა მერე, კენედის ძმაც ხომ იუსტიციის მინისტრი იყოო. ახალგაზრდები ამისგან უნდა დავიცვათ... ქართველები ძალიან ნიჭიერი ხალხია და თუ ასე გაგრძელდა, საზღვარგარეთ გადახვეწილი ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა აღარ დაბრუნდება და დავიღუპებით... ერთი რამის იმედი მაქვს, ქართველი სხვაგან ვერ ძლებს... უნიკალური ხალხი ვართ ნებისმიერ დარგში, მაგრამ რა გვჭირს, ვერაფერს წესიერად ვერ ვაკეთებთ...

P.S. ბატონი ჯუმბერი უკვე წასული იყო რედაქციიდან, ერთმა აღელვებულმა ქალბატონმა რომ დარეკა და გვითხრა: გასულ არჩევნებში საუბნო კომისიის წევრი ვიყავი. იქ ისეთი უნამუსობა, საშინელება ვნახე, რომ დღესაც სტრესში ვარ, დათრგუნული, ვერაფრით გამოვსულვარ მდგომარეობიდანო...

გესო გელაგვილის ფოტოები

აშენებენ თუ არ აშენებენ?!

საბჭოთა საქართველოდან მოყოლებული, ლამის ტრადიციად იქცა ბავშვთა ქალაქ "მზიურში" "დისნეილენდის" დაარსებაზე ლაპარაკი. ქართველ ბავშვებს ამ ოცნების ახდენას უმეტესად ბიზნესმენები პირდებოდნენ. დღეს ამ საქმით თავად სახელმწიფო დაკავდა. გავრცელებული ინფორმაციით, უახლოეს მომავალში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საქალაქო სამსახური "მზიურში" ქართული "დისნეილენდის" გახსნას გეგმავს. იმავე ინფორმაციით, საქართველოში აკრედიტირებული საელჩოების დახმარებით, ბავშვთა ქალაქში მსოფლიოს ქვეყნების ღირსშესანიშნაობების კუთხეები მოეწყობა.

პარადოქსია, მაგრამ "მზიურის" დირექტორმა ქეთი დუმბაძემ ეს ინფორმაცია ჩვენგან გაიგო, თუმცა არც გაკვირვებია და არც იმედი გასჩენია. **"ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ მაგ ჩანაფიქრის განხორციელებას იმდენი ფული სჭირდება, ეჭვი მეპარება, რამე გამოვიდეს,"** - გვითხრა ქეთი დუმბაძემ. ბავშვთა ქალაქის არქიტექტორმა ირაკლი მასხარაშვილმა ამ ამბავს აბსურდული ინფორმაცია უწოდა: **"პარკის მოვლა-პატრონობა ყოველწლიურად 70 მილიონი დოლარი ჯდება, "დისნეილენდის" ერთი კარუსელის დადგმას საქართველოს მთელი წლის ბიუჯეტი არ ეყოფა. რამდენად შესაძლებელია ამ პროექტის განხორციელება, ვერ გეტყვით."**

"მზიურში" მოსალოდნელ ცვლილებებზე არც ქალაქის გარემოს დაცვის სამსახურში იცოდნენ რამე. **"ჩვენთან არათუ "დისნეილენდის", მსგავსი პროექტიც კი არ შემოუტანიათ. სიმართლე გითხრათ, დღეს ამაზე საუბარი რეალობისგან ცოტა შორს დგას,"** - განაცხადა ზურაბ ადამიამ. იგივე გვითხრეს ქალაქის არქიტექტურის სამსახურში. მოკლედ, ხმები ნოდარ დუმბაძის ოცნების ასრულების შესახებ, ნაადრევი აღმოჩნდა.

საქართველოს თავის ტკივილის საზოგადოება

გია გელაშვილის ნახატი

თამარ მაისურაძე

საქართველოში საქართველოს თავის ტკივილის საზოგადოება არსებობს. იმაზე ფიქრით, თუ რა დამეწერა ამ საზოგადოებაზე, თავად ამტკივდა თავი. თუმცა, ერთის თქმა გადაჭრით შემიძლია - თავის ტკივილი მარტო ანალგინის დალევა არ გეგონოთ. ამ პარადოქსული დასახელების მქონე საზოგადოების არსებობის შესახებ სრულიად შემთხვევით შევიტყვე. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გერმანიის ერთ-ერთ საუნივერსიტეტო ნევროლოგიის კლინიკაში მოღვაწე ჩვენს თანამემამულეს, ზაზა ქაცარავას აზრი გამოუთქვამს, ასპირინის რეგულარულად მიღება თირკმელს აზიანებს, გერმანიაში თირკმელის ქრონიკული უკმარისობის გამომწვევ მთავარ მიზეზად ასპირინს მიიჩნევენო. თავად ზაზა ქაცარავა საქართველოში არ იმყოფება და ასპირინის "ვარგისიანობის" შესახებ დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით. ამ ინფორმაციის გადამოწმების მსურველმა შემთხვევით საქართველოს თავის ტკივილის საზოგადოება აღმოვაჩინე და მის პრეზიდენტს, შალვა ჩხიკვიშვილს დავუკავშირდი.

ჩვენში ძალზე გაშინაურებულ დაავადებას, თურმე, ამერიკისთვის წელიწადში 6-დან 8 მილიარდ დოლარამდე წაგება მოაქვს. ეს მარტივად აიხსნება: თავის ტკივილის შედეგად ვიღაც სამსახურში ვერ მიდის, ვიღაც რაღაცას ვერ აკეთებს და ა.შ. ასე რომ, ეს პრობლემა, არა მარტო სამედიცინო, არამედ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაც გამოდის. ჩვენთან ასეთი სტატისტიკა რომ არსებობდეს, სასაცილოც იქნებოდა. არადა, შალვა ჩხიკვიშვილის თქმით: **"მსოფლიოში ცნობილი ფაქტია, რომ ყველა 100 ადამიანიდან 70 არის ამა თუ იმ თავის ტკივილით დაავადებული. არსებობს მრავალნაირი თავის ტკივილი. ყველაზე დიდი მოცულობით გავრცელებულია დაძაბულობის თავის ტკივილი, რაც შეიძლება კუნთური დაძაბულობის შედეგი, ან თუნდაც დეპრესიის გამოვლინება იყოს. ქრონიკული ტკივილს ანალგინი ან სხვა ტკივილგამაყუჩებელი საშუალება ვერ უშველის. ამისთვის აუცილებელია თავის ტკივილის მართვა და სწორი დიაგნოსტირება, რათა შესაბამისი მკურნალობა დაინიშნოს."**

როგორც ჩანს, ეს საკითხი დიდი ყურადღებას საჭიროებს. ჩვენც, ქართველები, თავის ტკივილის "ამბავში" ერთი ნაბიჯით წინ ვართ. 1997 წელს შეგვიქმნია თავის ტკივილის საზოგადოება, რის შესახებაც დღემდე არ გვცოდნია. თუმცა, ეს უკანასკნელი, უსახსრობის გამო, ლამის, უფუნქციოდ არის დარჩენილი. არადა, შალვა ჩხიკვიშვილი აცხადებს: **"ადამიანის უფლებების დეკლარაციის ერთ-ერთი მუხლის თანახმად, ადამიანს აქვს ღირსეულად ცხოვრების უფლება."** მარტივად რომ ვთქვათ - თავის ტკივილის გარეშე.

უფასო საგზურები ნუნისში

ეკატერინე ბახუტაშვილი

ფსორიაზით, ეგზემითა და კანის სხვა დაავადებებით შეპყრობილი სოციალურად დაუცველი 100 პაციენტი წელს ბალნეოლოგიურ კურორტ ნუნისში უფასოდ დაისვენებს და სამკურნალო პროცედურებს ჩაიტარებს. სოციალური პროგრამა 1 ივლისს იწყება და მას განახორციელებს ფონდი "ორთოსი" ფირმა "ნუნისის" ფინანსებით და საზოგადოებრივი კავშირი "ფერისცვალება". საქველმოქმედო პროგრამა 10 წლის განმავლობაში გაგრძელდება და მთლიანად კურორტზე 1000 პაციენტის დასვენებას ითვალისწინებს. პაციენტები ნუნისში შერჩევის შემდეგ გაიგზავნებიან. სამკურნალო კურსი 14-18 დღიანი იქნება. კურორტის სხვა პაციენტებს მკურნალობა და დასვენება დღეში 24-40 ლარამდე დაუჯდებათ

კურორტი დასავლეთ საქართველოში, ხარაგაულის რაიონში მდებარეობს და თავისი სამკურნალო თვისებებით ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის მეფობის პერიოდიდან არის ცნობილი. ნუნისის წყლის სამკურნალო თვისებები პირველად 1935 წელს ერთობლივად კანისა და ვენსნეულებათა ინსტიტუტის და კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის მიერ იქნა შესწავლილი. 90-იანი წლების მონაცემებით, ნუნისში მკურნალობის შედეგად პაციენტთა 80-90 პროცენტს მდგომარეობის გაუმჯობესება აღენიშნებოდათ, ორი წლის განმავლობაში ზედიზედ კურორტზე მკურნალობის შემთხვევაში პაციენტთა 18 პროცენტს კი - ორ წლამდე კლინიკური რემისია.

სუფთა წყალი - ლანჩხუთს

თამაზ ხარაიშვილი

სპეც. კორ. ოზურგეთში

ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატის, "მრეწველთა" ფრაქციის წევრის, ოთარ მენაბდის ძალისხმევით, ლანჩხუთის წყალსადენის კლიტეკარის სათავე ნაგებობის რემონტისათვის ქალაქის ხელმძღვანელობამ 50 ათასი ლარი გამოიყო. ლანჩხუთის წყალსადენს ორი სათავე ნაგებობა ემსახურება - ორაგვისა და კლიტეკარის. საქართველოს ინვესტიციების ფონდის დახმარებით, ორაგვისა უკვე გარემონტდა. კლიტეკარის სათავე ნაგებობა კი წლების მანძილზე სავალალო მდგომარეობაში იყო. ამჟამად მოწესრიგებულია წყლის შემკრები აუზი, გასუფთავებულია ჭები, გაყვანილია დამცავი არხები. გამოყოფილი თანხის ფარგლებში, ორივე სათავე ნაგებობისათვის არის შეძენილია ქლორი. ამიერიდან, ლანჩხუთელებს დაქლორილი და გაფილტრული წყალი ექნებათ.

ბრინჯაოს პუტინი

ჩელიაბინსკის ოლქში მდებარე ქალაქ კუსში რუსეთის მოქმედი პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის ბრინჯაოს ბიუსტებს ასხამენ. ეს არ გახლავთ მომცრო, მაგიდაზე დასადგამი ბიუსტები. ასეთების ჩამოსხმაზე ჯერ ისევ მუშაობენ ქალაქის საავტომობილო ქარხანაში. დღეს კუსში პუტინის დიდ ბიუსტებს ასხამენ და დარწმუნებულები არიან, რომ მათ პროდუქციაზე რუსი ჩინოვნიკების მხრიდან დიდი მოთხოვნა იქნება. მწარმოებლებმა მიიღეს კიდეც შეკვეთები რუსეთის რაიონებიდან და საზღვარგარეთიდან. ინტერესს მხოლოდ მოსკოვი არ იჩენს. მეტიც, ჩელიაბინსკელების ინიციატივას კრემლში ცუდად უყურებენ, თუმცა მის აღკვეთას ვერაფრით ახერხებენ. "სამწუხაროდ, პრეზიდენტის გამოსახულება იურიდიულად ძალზე სუსტადაა დაცული", - აცხადებენ პუტინის ადმინისტრაციაში.

ცრუ განგაში

არგენტინა-ინგლისის ნაკრების საფეხბურთო მატჩს, რომელიც არგენტინელთა დამარცხებით დასრულდა, არგენტინის ნაკრების გულშემატკივრის ტერორისტული სატელეფონო ზარი მოჰყვა.

მატჩის დამთავრებიდან 10 წუთის შემდეგ, ბუენოს-აირესის აეროპორტში დარეკა ინგლისის ნაკრებზე გაბრაზებულმა უცნობმა არგენტინელმა, რომელიც ლონდონის რეისის თვითმფრინავის აფეთქებით იმუქრებოდა. ავიაკომპანია "British Airways"-მა თვითმფრინავის შესაამოწმებლად რეისი რამდენიმე საათით გადადო. ასაფეთქებელი მოწყობილობა თვითმფრინავში არ აღმოჩნდა.

აშშ სომხეთს ქალებით ვაჭრობაში ადანაშაულებს

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა სომხეთი ქალებისა და გოგონების სექსუალურ ექსპლუატაციაში დაადანაშაულა. დეპარტამენტის ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნაში ნათქვამია, რომ სომხეთის ხელისუფლება ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ არ ღებულობს არანაირ ზომებს. გაყიდული სომეხი ქალები არაბეთში, რუსეთში, საბერძნეთსა და გერმანიაში სექსუალურ ინდუსტრიაში გამოიყენებიან.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებას დაეთანხმა სომხეთის ხელისუფლება და აღიარა, რომ ადამიანებით ვაჭრობამ ქვეყანაში მართლაც არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

REUTERS

თავდასხმა კოფი ანანზე

მოსკოვში, ახალი არბატის ქუჩაზე, გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის სპეციალური დაცვის კორტეჟის გარღვევის მცდელობისთვის პოლიციამ დააკავა 53 წლის ანდრეი კოტოვი. იგი კოფი ანანზე თავდასხმას ცდილობდა.

არბატსკის მილიციაში მიყვანის შემდეგ დადგინდა, რომ თავდამსხმელი ფსიქიურადაა დაავადებული და 1994 წლიდან ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე იმყოფება.

მილიციამ იგი ქალაქის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მკვლელობა ქართულ ქუჩაზე

მოსკოვის ცენტრში, მალაია გრუზინსკაიაზე, რესტორან "მაკდონალდსის" სიახლოვეს მკვლელობა მოხდა. ორი დაუდგენელი პიროვნება თავს დაესხა კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომლებს. მოსკოვის პოლიციის განცხადებით, თავდამსხმელებს დაცვის სამსახურის თანამშრომლები ინკასატორში აერიათ.

ორმხრივი სროლისას ერთ-ერთი თავდამსხმელი ადგილზე გარდაიცვალა, მეორემ კი გაქცევა მოახერხა. მოსკოვის მილიცია მძიმედ დაჭრილი მეორე თავდამსხმელის დასაკავებლად სპეცოპერაციას ატარებს.

ოფიცერს 90 ათასი დოლარი წაართვეს

მოსკოვში` პროფკავშირების ქუჩაზე ყაჩაღობა მოხდა. სამმა შეიარაღებულმა ყაჩაღმა რუსი სამხედრო ოფიცრის უცხოური მარკის ავტომანქანიდან 90 ათასი დოლარი გაიტაცა.

ყაჩაღთა ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ კრიმინალები კავკასიური გარეგნობით გამოირჩეოდნენ და ერთ-ერთ კავკასიურ ენაზე საუბრობდნენ.

შეწყალება ისევ არსაიდან ჩანს

ხათუნა ჭანგირაშვილი

29 აგვისტოს ტერაქტის ორგანიზატორობისა და გია ყარყარაშვილის აფეთქების მცდელობისთვის გასამართლებული, ამჟამად ჩაკეტილი ციხის - "ერიტის" ტუსაღი გურამ პაპუკაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციას - "ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის" - ჟურნალისტებთან შეხვედრის მოწყობაში დახმარებას სთხოვს.

საქმე ისაა, რომ ტერორისტობისთვის გასამართლებული პატიმრის სათხოვარს შეწყალების თაობაზე, რომლითაც მან პრეზიდენტ შევარდნაძეს მიმართა, შეწყალების კომისიამ უარით უპასუხა.

"სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას არაერთხელ მივეცი ჩვენება იმ წამებისა და ზეწოლის შესახებ, რასაც ჩემს მიმართ ახორციელებდა შსს და პროკურატურა. ამას ადასტურებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებების ცნობილი დამცველები, საერთაშორისო ექსპერტები. სასამართლო კოლეგიამ არც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნა გაითვალისწინა, სადაც ჩემს მიმართ განხორციელებული უფლებების უხეშ დარღვევებზე იყო საუბარი და 12-წლიანი პატიმრობა მომისაჯა." — აცხადებს პაპუკაშვილი.

გურამ პაპუკაშვილი მასმედიასთან შეხვედრას ჯერ კიდევ 7 წლის წინათ, შსს-ს იზოლატორში ყოფნისას, წინასწარი გამოძიების დროს ითხოვდა. მაშინ შიმშილობაც გამოაცხადა. მის სანახავად იზოლატორში შესულ ადამიანის უფლებების დამცველებს თუ საერთაშორისო ექსპერტებს ბრალდებული ექვსი თვის დაუბანელი, ნახევარმეტრიანი თმითა და წვერით დახვდა.

შვიდთვიან სასამართლო პროცესზე განსასჯელი პაპუკაშვილი თითქმის ყოველდღე იმ ცემა-ტყეპისა და ტანჯვა-წამების შესახებ საუბრობდა, რაც მის მიმართ განახორციელეს სამართალდამცველებმა. ადვოკატმა თემურ გოგსაძემ სასამართლოზე შსს-ს მე-5 იზოლატორიდან როგორღაც გამოტანილი პაპუკაშვილის სისხლიანი ტანსაცმელიც წარადგინა. თუმცა, იმავე სასამართლო პროცესზე მოწმედ დაკითხულმა იზოლატორის თანამშრომლებმა, რომლებსაც პაპუკაშვილი ცემა-ტყეპის უშუალო შემსრულებელ-ორგანიზატორებად ასახელებდა, ბრალდებულზე ზეწოლა კატეგორიულად უარყვეს.

"მე ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სათქმელი." – აცხადებს დახურულ ციხეში მყოფი პატიმარი, რომელიც მოუთმენლად ელის მასმედიასთან შეხვედრას.

კიდევ ერთი მკვლელობა დუისში

პანკისის ხეობაში გუშინ მორიგი კრიმინალი მოხდა. სოფელ დუისში, მამუკა ქავთარაშვილის მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ, გულმკერდის არეში მძიმედ დაჭრილი ჩეჩენი საიდ სულეიმანოვი საავადმყოფოში მიიყვანეს.

გავრცელებული ინფორმაცია, რომ ეს ორი დანაშაული ერთმანეთთან კავშირშია, ახმეტის პოლიციის უფროსმა ავთანდილ თურქიაშვილმა, ჩვენთან საუბრისას, კატეგორიულად უარყო. მისი განცხადებით, სულეიმანოვს იარაღი გაუვარდა, რასაც ადასტურებენ შემთხვევის თვითმხილველები.

საიდ სულეიმანოვის დაკითხვას, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სამართალდამცველები, ჯერჯერობით, ვერ ახერხებენ.

ყაჩაღობა ჰურის საცხობში

სენაკში ყაჩაღები დანაშაულის ჩადენის მომენტში დააკავეს. დავით კულუა და დავით ნინუა, სამართალდამცველთა მიერ ძებნილ პირთან ერთად, სენაკში ჰურის საცხობს დაესხნენ თავს და საცხობის მეპატრონე დავით გვასალიას ავტომატების მუქარით ფულის მიცემას აიძულებდნენ. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს ყაჩაღებმა ცეცხლი გაუხსნეს. ორმხრივი სროლის შედეგად არავინ დაშავებულა, მაგრამ ერთმა დამნაშავემ მიმალვა მოახერხა. დაპატიმრებულთაგან ამოღებულია ორი ავტომატი მჭიდებითა და ვაზნებით.

ტრაგიკული რძალ-დედამთილიანი

თელავის რაიონის სოფელ შალაურში ოჯახური კონფლიქტი მკვლელობით დასრულდა. 71 წლის ნუნუ ჯავახიშვილმა რძალს, 50 წლის ნელი ჯავახიშვილს ხელჩართული ჩხუბისას ნაჯახი ჩაარტყა თავში და მოკლა. მკვლელი დედამთილი დაპატიმრებულია.

ნახატებმა კერძო კოლექციიდან დალის მუზეუმში გადაინაცვლეს

გალა-სალვადორ დალის ფონდმა ევროპული კერძო კოლექციებიდან ორი ნამუშევარი შეიძინა: ფანქარში შესრულებული Le couple და ზეთში შესრულებული El sentiment de la velocitat. ორივე ნამუშევარში ერთად ფონდმა 1 204 800 აშშ დოლარი გადაიხადა. ნახატები მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, სიურეალიზმის საწყის ფაზაშია შექმნილი. ახლა ისინი უკვე დალის ფიგურათა მუზეუმში ინახება. "ეს ნამუშევრები სიმბოლიზმითაა სავსე", - ამბობს მუზეუმის დირექტორი ანტონი პიტქსიტი.

წყალი, ცეცხლი, ჰაერი და მიწა

ანა ქეშელაშვილი

ციფრულ "ძალადობას" მოცეკვავე სცენიდან უწონობაში გადაჰყავს, კონტურებს უშლის, აქრობს და სხვა სიბრტყიდან აბრუნებს; ვირტუალური პროექციის შედეგად ვირტუალური და ცოცხალი მოცეკვავეები ერთმანეთს ენაცვლებიან; უეინ მაკგრეგორი ცეცხლის ალს ეცეკვება. თანამედროვე ცეკვების დასი მარენ მარეს მუსიკის ფონზე არქაულ ცეკვებს ასრულებს.

ეს ყველაფერი 7 და 8 ივნისს, რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სცენაზე, ბრიტანული Random Dance-ს მიერ "ტრილოგიის" წარმოდგენის დროს ხდებოდა. 31 წლის ქორეოგრაფი უეინ მაკგრეგორი თავის ჯგუფთან ერთად ელისაბედ მეორის ოქროს იუბილეს მულტიმედია პროექტით აღნიშნავდა თბილისში, ბაქოსა და ერევანში.

"ტექნოლოგიაში კარგი ისაა, რომ ის სულ მოძრაობაშია," - ამბობს უეინ მაკგრეგორი, - "არ მიყვარს უკან დაბრუნება და უკვე დადგმული წარმოდგენის გადაკეთება. მე მირჩევნია ახალი პროექტი გავაკეთო, რომელშიც წინა წარმოდგენების იდეები, თემები გაგრძელდება და განვითარდება; წინსვლა მიყვარს."

Random Dance-ის კავკასიური ტურნეს პროგრამაში მოხვდა "ტრილოგია", რომელშიც სამი ადრინდელი წარმოდგენა გაერთიანდა სამყაროს ოთხ ძირითად ელემენტად – წყალი, ცეცხლი, ჰაერი და მიწა.

პირველი ამ სამიდან, "მილენარიუმი", რომელიც 1997 წელს დაიდგა, ძირითადად წყლის იდეის გარშემო ტრიალებს და მაყურებელს ეფექტური უწონობით აწონებს თავს. მეორე წარმოდგენა, "სულფურ 16", მიუხედავად იმისა, რომ წინა სპექტაკლის იდეას ატარებდა და კიდევ ერთი ელემენტის – ცეცხლის თემას ავითარებდა, ფორმით ბევრად განსხვავდებოდა პირველისგან.

მესამე სპექტაკლში - "ეონი", რომელშიც ორი დარჩენილი ელემენტის თემა ფიგურირებს, ქორეოგრაფის ხელში არა მარტო ცოცხალი ან ვირტუალური მოცეკვავეები არიან, არამედ მთელი სამყარო – მიწა, ჰაერი, რომელიც მთლიანად ვირტუალური ეფექტებითაა შექმნილი და ადამიანი, რომლის გარშემო ტრიალებს მთელი სამყარო.

რუსთაველის თეატრის სცენაზე წარმოდგენილ "ტრილოგიაში" ყველა სპექტაკლი ერთ მთლიან პროექტად გაერთიანდა. წყლის სვეტები, ცეცხლის ენები, ინტენსიური ყვითელი და ფირუზისფერი განათება მაყურებელს რეალობის შეგრძნებას აკარგვინებს და ვირტუალური პროექციის ნაწილად აქცევს.

მიუხედავად იმისა, თუ რა ჩანაფიქრი დევს წარმოდგენაში, ან როგორ ხედავს მას ქორეოგრაფი, ყველაფერი მაინც მაყურებლის განწყობაზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ როგორ ჩაერთვება წარმოდგენაში. მაყურებლის დამოკიდებულება კი საკმაოდ კეთილგანწყობილი იყო, მითუმეტეს, რომ ბრიტანეთის საბჭოს მიერ ორგანიზებული საღამოებით სიამოვნება მაქსიმუმ 7 ლარი ჯდებოდა. სათანადო განწყობის შექმნის შემთხვევაში კი, ალბათ, არც მაღალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ცეკვის შერწყმის იდეა გამოიწვევს გადაულახავ გაუცხოებას ბრიტანულ დასსა და თბილისელ მაყურებელს შორის.



ბასო გელაშვილის ფოტო

ვინ რას ეწევა ქართულ შოუ-ბიზნესში

რესტორან "სარაჭიშვილში" FUSION-ის "ფართი" გაიმართა

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

მადი სერებრიაკოვა

სამწუხაროდ, არ ჩამიტარებია სოციოლოგიური გამოკვლევა, თუ რამდენი კლიენტი ჰყავს თბილისში სიგარეტს FUSION. რესტორან "სარაჭიშვილში" გამართული ახალი FUSION–ის წვეულებას კი – მართლაც ბლომად ხალხი დაესწრო. მოსაწვევები, რომლებიც წესით FUSION –ის ყველაზე აქტიურ მომხმარებლებს უნდა რგებოდათ, ამაყად გვაუწყებდა, რომ "წლის გრანდიოზული წვეულება თავბრუდამხვევ მუსიკალურ შოუს, უამრავ სიურპრიზს, ფანტასტიურ მოდების ჩვენებას, ორიგინალურ საჩუქრებსა და ბრწყინვალე საზოგადოებას" გვპირდებოდა. ამ მხრივ, ორგანიზატორები გულწრფელად შეეცადნენ წვეულება დასავლური ანალოგიებით გაემართათ – "ვარსკვლავთა ბილიკიდან" დაწყებული, ფეირვერკებითა და უფასო სიგარეტებით დამთავრებული.

სამწუხაროდ, აქ ჩვენი ვარსკვლავები "ჩაიჭრნენ" და ლიმუზინებით არ მოგრიალდენენ ერთმანეთის მიყოლებით. საერთოდაც, აღნიშნული "ბილიკის" ღირსეული გავლა მხოლოდ ლელა წერწუმიამ და სტეფანემ მოახერხეს და ეზოში შეუერთნენ დანარჩენ კოლეგებს. აქ ამინდისათვის შეუფერებლად ტიტლიკანა მოზარდები ცდილობდნენ სტუმრების "აგდებას", თან სიგარეტის ნამწვებით ავსებდნენ ქარისგან ისედაც ცოტა შელახულ აუზს. აღნიშნული ბრწყინვალე საზოგადოება კი ძირითადად ესტრადის ვარსკვლავებით, მოდის ბიზნესის გრანდებითა და კანტი-კუნტად პოლიტიკოსი ბიზნესმენებით იყო დაკომპლექტებული.

აქ ცოტა რამ ჩაცმა-დახურვაზეც უნდა ითქვას. კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ ნეონის განათების "გამარიაჟებას" მოწადინებულ ორგანიზატორებს და მოსაწვევებზე აღნიშნული გაფრთხილების მიუხედავად – "ჩაიცვით თეთრი და ვერცხლისფერი სამოსიო", ქართველებმა მაინც არ უღალატეს ტრადიციას და, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყველა შავ ფერში გამოწყობილი გამოცხადდა წვეულებაზე.

ეზოდან მოქმედებამ რესტორნის ფოიეში გადაინაცვლა, სადაც წვეულების ყველაზე დიდი საჩუქარი - მანქანა უნდა გათამაშებულიყო: ეს უკანასკნელი იმ ბედნიერს უნდა რგებოდა, რომელიც სეიფის ექვსციფრიან კოდს გამოიცნობდა. შესაბამისად ფოიეში მოგების მსურველთა გვარიანი რიგი დადგა. საბოლოოდ, ჯამში ყველაფერს კუჭმა აჯობა და იმედგაცრუებულმა სტუმრებმა დარბაზში გაშლილ მაგიდებთან იწყეს ადგილების დაკავება.

როგორც იქნა, დაპირებული "თავბრუდამხვევი მუსიკალური შოუ" დაიწყო. "თეთრი და ვერცხლისფერი" წვეულება რატომღაც "მწვანე ოთახის" live-მა გახსნა. თუმცა კონცერტის ყველაზე "ცოცხალმა" ჰიტებმაც ვერ დაძრეს ჭამა-სმის მადაზე მოსული საზოგადოება მაგიდებიდან. ის იყო, წამყვანმა აჩი ფურცელაძემ წინადადება შემოიტანა – "თეთრსა და ვერცხლისფერ" წვეულებას "ნაცრისფერი" გადავრქვათო, რომ სცენა ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა დაიკავეს. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მათმა "არაცოცხალმა" თუ "ცოცხალ-მკვდარმა" კონცერტმა მეტად გაამხიარულა ჩემი თანამესუფრენი. აქ უფასო სიგარეტის ფაქტორმაც თავისი როლი შეასრულა და ნახევარ საათში სცენაცა და დარბაზიც ლონდონის ნისლივით რომანტიულ კვამლში ჩაიძირა.

დამსწრე საზოგადოებას გავა ნამეტანი არ გაუსუქდესო – იფიქრეს ორგანიზატორებმა და საღამოს განმავლობაში ერთი-ორჯერ წამოხტუნეს და ვერანდაზე დეფილეს სანახავად გააბრძანეს. "ფანტასტიური მოდების ჩვენება" კვლავ FUSION-ის თეთრსა და ვერცხლისფერ ფერებში იყო გადაწყვეტილი. მოდელების რა გითხრათ, სამაგიეროდ ბაიკერები აქ მართლაც ეფექტურად გამოიყურებოდნენ. ამ უკანასკნელ მოდელების ეზოში სახელდახელოდ მოწყობილ "პოდიუმზე" გამობრძანების ფუნქცია დაეკისრათ. მოდელებიც გმირულად უძლებდნენ საშინელ ქარსა და სიცივეს და ნახევრადშიშვლები დააბიჯებდნენ FUSION-ის "ნაკოლკების" სადემონსტრაციოდ.

ახლა წვეულების "უამრავი სიურპრიზზე და საჩუქარზე" გადავიდეთ. თავიდან სამახსოვრო პრიზების გადაცემა ციფრების მაგიის პრინციპით დაიწყო. მერე დარბაზში მოზრდილი FUSION-ის მოზრდილი "რაკეტა" გაბერეს, რომელშიც ოთხი რჩეული დამსწრეთაგანი შეაძვრინეს რთული დავალების შესასრულებლად: FUSION-ის წარწერიანი ფურცლები უნდა შეეგროვებინათ და მაქსიმალური რაოდენობით დამოეზიდათ "რაკეტიდან". აქ ერთმა "ზომიერად მოწიფულმა" მამაკაცმა ივაჟკაცა და პრიზად სიმპათიური მობილური ტელეფონიც "დაირტყა".

წვეულება კონცერტ-დისკოტეკამ დააგვირვინა, რომელშიც ძირითადად კვლავ დაქირავებული მოდელები მონაწილეობდნენ. თუმცა დაფიქსირდა ისეთი გამონაკლისიც, როგორიც მაკა ასათიანთან დაწყვილებული ლელა წურწუმიას პროდიუსერი მეუღლე გახლდათ. წვეულება გვიან ღამე დაიშალა. ჭირის, ლხინის, ქატოსა და ფქვილის მოვალეობა კი ამჯერად სიგარეტმა შეასრულა – უფასო მწეველები FUSION-ს მართლა ბევრი ჰყოლია.

P.S. მანქანა ვერც მე მოვიგე.



კიდევ ერთი ფავორიტი დამარცხდა



იტალია 1:2 ხორვატია



გოლები: *1:0 ვიერი (55`), 1:1 ილიჩი (73`), 1:2 რაპაიჩი (76`)*
მსაჯი: *გრეჰემ პოლი (ინგლისი)*

წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი შესაძლოა ფავორიტებს შავ დღედ ექცეს. საფრანგეთისა და არგენტინის შემდეგ კიდევ ერთი ფავორიტი, ამჯერად იტალიის ნაკრები დადგა ქვეჯგუფში ჩარჩენის საშიშროების წინაშე. ხორვატიის ნაკრებმა შესანიშნავად ჩაატარა გუშინდელი მატჩი და იტალიელებთან თავისი დადებითი ბალანსი კიდევ ერთი გამარჯვებით გააძლიერა, თუმცა გარეშე დახმარებით: ინგლისელმა მსაჯმა პოლ გრეჰემმა იტალიელებს 2 გოლი არ ჩაუთვალა.

დოვანი ტრაპატონი *(იტალიის ნაკრების მწვრთნელი): "კარგი მატჩი იყო. ჩვენ თამაშს ვაკონტროლებდით და უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით. რატომ არ ჩაითვალა ინძაგის გოლი, არ მესმის. მაგრამ ჩვენ ვინარჩუნებთ მერვედფინალში გასვლის შანსს. ჩვენ გვქონდა პრობლემები დაცვაში, რომლებიც გამოვასწორეთ ცვლილებების შემდეგ. მას შემდეგ, რაც ხორვატიამ ანგარიში გაათანაბრა, ფსიქოლოგიური პრობლემაც დაგვემატა. მათი მეორე გოლი უფრო ავტოგოლი იყო."*

მირკო იოჟიჩი *(ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი): "მე ვუთხარი ჩემს ფეხბურთელებს, რომ მე მათით აღფრთოვანებული ვარ და რომ ისინი გმირები არიან. დღეს ისინი მზად იყვნენ, ერთმანეთისათვის სიცოცხლეც კი გაეღოთ. ეს სულ სხვა გუნდი იყო, ვიდრე მექსიკის წინააღმდეგ, მაგრამ მე მაინც ვერ ვხვდები, თუ როგორ მოახერხეს მათ ასე ეთამაშათ. ამჯერად მე ძალიან ამაყი ვარ, რადგან გუნდმა ზუსტად შეასრულა ჩემი დავალებები. მხოლოდ დიდ გუნდს შეუძლია 0:1 წაგების მიუხედავად მატჩი შემოატრიალოს და იტალიას მაინც მოუგოს."*

REUTERS

ბრაზილია მერვედფინალშია



ბრაზილია 4:0 ჩინეთი



გოლები: *1:0 რობერტო კარლოსი (15`), 2:0 რივალდო (32`), 3:0 რონალდინიო პენ. (45`), 4:0 რონალდო (55`)*
მსაჯი: *ანდერს ფრისკი (შვედეთი)*
36750 მაყურებელი

აქ სალაპარაკო ცოტაა: გოლიათი შეხვდა დავითს და გოლიათმა გაიმარჯვა. ტურნირის სხვა ფავორიტებისგან განსხვავებით, ბრაზილიის ნაკრები უდანაკარგოდ მიემართება მერვედფინალისკენ და, თანაც, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთთან მატჩში ბრაზილიელებმა მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშეს. მეორე ნახევარში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები საერთოდ აღარ იწუხებდნენ თავს და "მხოლოდ" ერთი გოლი შეაგდეს მეტოქის კარში.

ლუის ფელიპე სკოლარი *(ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი): "ვიცოდით, რომ მატჩის დასაწყისში ჩინელები იაქტიურებდნენ. თამაშის პირველი 15 წუთის განმავლობაში პასიურები ვიყავით და მეტოქეს ვაკვირდებოდით, მერე კი ჩვენს თამაშს შევუდექით. ცხადი იყო, რომ ტექნიკური უპირატესობა ჩვენკენ იქნებოდა, მაგრამ, ისიც ცნობილია, თუ როგორ განვითარდა ჩინური ფეხბურთი. თურქებთან მატჩის შემდეგ ჩვენ საგრძნობლად მოვუმატეთ, თუმცა, კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს."*

ბორა მილუტინოვიჩი *(ჩინეთის ნაკრების მწვრთნელი): "ჩემი გუნდის თამაშის შემყურე, ბედნიერი ვარ, ამავე დროს უბედურიც - ანგარიშის გამო. ტაქტიკურად ჩვენ ძალიან კარგად და წესიერად ვითამაშეთ, მაგრამ ბრაზილიის წინააღმდეგ ეს არ კმარა. ასეთი თამაშით თურქეთის წინააღმდეგ კარგი შანსი გვაქვს. წაგების მიუხედავად, ნათლად ჩანს, რომ ჩინური ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა."*

REUTERS

„ბაფანა-ბაფანა„ მერვედფინალში გასვლაზე ოცნებობს



სამხრეთ აფრიკა 1:0 სლოვენია



გოლი: ნომვეტე (4`)
მსაჯი: ანხელ სანჩესი (არგენტინა)
სტადიონი: დეგუ
47226 მაყურებელი

სამხრეთ აფრიკის ნაკრებს სლოვენიასთან გამარჯვებამ მერვედფინალში გასვლის დიდი იმედი ჩაუსახა. მათ ერთადერთ კონკურენტად პარაგვაის ნაკრები რჩება. ესპანელებმა უკვე მოიპოვეს შემდეგი ეტაპის საგზური, სლოვენიას კი, 2 წაგების გამო, ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარა აქვს. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში აფრიკელები ესპანეთს შეხვდებიან, პარაგვაი კი - სლოვენიას. აფრიკელებს ესპანელებთან, რომლებიც ამ მატჩში სათადარიგო შემადგენლობით აპირებენ გამოსვლას, ფრეც აძლევთ ხელს, პარაგვაიმ კი აუცილებლად უნდა მოუგოს სლოვენიას. ეს უკანასკნელი აუცილებლად შეეცდება, მსოფლიო ჩემპიონატი თავაწეულმა დატოვოს.

ჯომო სონო *(სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელი): "მე ვამაყობ ჩემი "ბავშვებით". ჩვენმა ინტენსიურმა ვიდეო-მეცადინეობამ შედეგი გამოიღო. შესაძლოა, ამ გამარჯვებამ მერვედფინალის საგზური მოგვიტანოს. სტადიონზე მოსული გულშემატკივარი კი ნამდვილი მეთორმეტე ფეხბურთელი იყო ჩვენი გუნდისთვის."*

სრეჩკო კატანეცი *(სლოვენიის ნაკრების მწვრთნელი): "წაგების მიუხედავად, მე ვამაყობ ჩემი გუნდით. დღეს აფრიკელები არ იყვნენ ჩვენზე უკეთესი. ჩატარებულ ორივე მატჩში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ღირსეული სტუმრები ვართ. ბოლო მატჩში აუცილებლად გვჭირდება გამარჯვება."*

REUTERS

დერიუგინი წავიდა!..

გოგიტა ბახაძის ფოტო

თბილისის სპორტის სასახლეში შეკრებილმა ოთხი ათასამდე ადამიანმა სპორტიდან გააცილა ქართველი კალათბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი ნიკოლოზ დერიუგინი. საღამო, რომელიც ქართველმა მომღერლებმაც დაამშვენეს, ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. იმათ კი, ვისაც კარგად ახსოვს 80-იანი წლების ვარსკვლავების ტიუბინის, ტკაჩენკოს, იოვაიშას, პულავსკის, ტარაკანოვის, კურტინაიტისის, მიგლინიეკსის, დერიუგინის, დარსაძისა და სხვათა თამაში, მოედანზე მიმდინარე შეხვედრა უფრო აინტერესებდათ, ვიდრე შოუ-პროგრამა.

დერიუგინის ბენეფისი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს - ლიპარტელიანისა და სხვების ძალისხმევით თბილისს ეწვივნენ მსოფლიოსა და ევროპის, ოლიმპიადების პრიზიორები.

დღეიდან ნიკოლოზ დერიუგინი ოფიციალურ მატჩებში აღარ ითამაშებს. იგი ბავშვთა საკალათბურთო აკადემიაში მუშაობს. "მინდა, ახალი თაობა კალათბურთს ვაზიარო - იმ დიდ თამაშს, რომელსაც მე და ჩემმა მეგობრებმა ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები მივუძღვენით," - გვითხრა მან.

ამერიკელებს შოუმფრენი გაასვილებს

აშშ-სამხრეთ კორეის მატჩისთვის, რომელიც კვირას სამხრეთ კორეის ქალაქ ტეგუში გაიმართება, უშიშროების უპრეცედენტო ზომებს მიიღებენ. მატჩის დაწყებამდე სამი დღით ადრე გაძლიერებულია ამერიკის საფეხბურთო დელეგაციის, ამ ქვეყნის საელჩოსა და ამერიკული კომპანიების დაცვა. დაცვა მეთვალყურეობს აგრეთვე სხვა ქვეყნის საელჩოებსაც.

განსაკუთრებული ყურადღება ტეგუსკენ იქნება მიმართული. "ქალაქში გამოჩნდება "კომანდოს" სწრაფი რეაგირების ნაწილები - სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი უშიშროების რამდენიმე ასეული თანამშრომელი, ტერორიზმთან ბრძოლის განყოფილებიდან", - ამბობს კორეის უშიშროების წარმომადგენელი.

აშშ-ის ნაკრების ავტობუსს სასტუმროდან სტადიონამდე შოუმფრენი გააცილებს, ხოლო სტადიონიდან ერთი კილომეტრის რადიუსში განლაგდება სპეციალური დანიშნულების ძალთა 10 ესკადრონი.

იმის გამო, რომ სტადიონი ვერ დაიტევს მატჩზე დასწრების მსურველებს, ტეგუს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ქალაქში სამი გიგანტური ტელევიზორი დადგას. ასეთივე ღონისძიება დაგეგმილია სეულშიც, სადაც 9 გიგანტური ეკრანი იმუშავებს.

"ჩვენ არ ვაპირებთ ამერიკასთან ურთიერთობის გაფუჭებას", – აცხადებენ კორეელები.

აშშ-ის საელჩომ 10 ივნისი უქმედ გამოაცხადა.

REUTERS

ზიდანმა ვარჯიში დაიწყო

სეული (sid). მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა ზინედინ ზიდანმა ტრავმის შემდეგ გუშინ პირველად ივარჯიშა გუნდთან ერთად. მადრიდის "რეალის" 29 წლის ნახევარმცველს, მარცხენა ფეხის კუნთის ტრავმის გამო, 12-დღიანი პაუზა ჰქონდა და იძულებული იყო, საფრანგეთის ნაკრების პირველი 2 შეხვედრა სენეგალისა (0:1) და ურუგვაის (0:0) წინააღმდეგ გამოეტოვებინა.

საფრანგეთის ნაკრების ექიმის, ჟან-მარსელ ფერეს ცნობით, სამშაბათს ზიდანი შეძლებს, ითამაშოს დანიის წინააღმდეგ.

ფრანგები მიხვდნენ, რომ ზიდანის გარეშე ვერაფერს გახდებიან და ისევ "ზიზუს" მიმართეს. ზიდანსაც რაღა უნდა ექნა. ვარჯიში დაიწყო, მაგრამ კარში დარტყმას ერიდება, რომ კუნთი არ გადატვირთოს.

"ზიდანის მდგომარეობის შესახებ ახალს ვერაფერს ვიტყვი. უბრალოდ, ველოდები და მორჩა, – აცხადებს საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი როჟე ლემერი, – ზიდანი თავად გადაწყვეტს, გამოვიდეს თუ არა მოედანზე". თუ გავითვალისწინებთ, რომ ზიდანმა კარგად იცის თავისი გუნდის მდგომარეობის შესახებ, დანიის ნაკრების წინააღმდეგ, ალბათ, ითამაშებს.

Roland Garos

REUTERS

ოჯახური ფინალი

საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. გრუნტი. საპრიზო ფონდი 11 250 ათასი დოლარი.

ნახევარფინალი. ვაჟები: ალბერტ კოსტა (ესპანეთი) – ალექს კორეჩა (ესპანეთი) 6:3, 6:4, 3:6, 6:3. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) – მარატ საფინი (რუსეთი) 6:3, 6:2, 6:4.

ქალები: სერენა უილიამსი (აშშ) – ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 3:6, 7:6, 6:2. ვენუს უილიამსი (აშშ) – კლარის ფერნანდესი (არგენტინა) 6:1, 6:4.

Rolan garo-ს ერთეულთა თანრიგში ესპანურ-ამერიკული ფინალები შედგება. ვაჟთა შორის პირველი ფინალისტი გახდა ალბერტ კოსტა, რომელმაც თანამემამულე ალექს კორეჩა დაამარცხა. კოსტას უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ მატჩის დასაწყისიდანვე მის გამარჯვებაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა.

მეორე ნახევარფინალში ესპანელი ფერეროს მეტოქე რუსი მარატ საფინი იყო. საფინი პროფესიონალ ჩოგბურთელთა კლასიფიკაციას ლიდერობს. ამიტომ სპეციალისტები საინტერესო სანახაობას ელოდნენ, მაგრამ ესპანელმა საკმაოდ იოლად, სამ სეტში დაამარცხა იგი.

ქალთა თანრიგის ფინალი ოჯახური იქნება. მას ამერიკელი დები სერენა და ვენუს უილიამსები გაითამაშებენ. სერენას ჯენიფერ კაპრიატის სახით ძლიერი მეტოქე ჰყავდა. კაპრიატიმ პირველი სეტი მოიგო კიდეც, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში სერენა უფრო მტკიცე გამოდგა და დამსახურებულად გაიმარჯვა. ვენუსს ნაკლებად მძიმე ხვედრი ერგო. მან იოლად, ორ სეტში დაამარცხა არგენტინელი კლარის ფერნანდესი.

როგორც უნდა დასრულდეს ფინალური მატჩი, დები მომდევნო კვირაში პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგს პირველად ჩაუდგებიან სათავეში, ხოლო გამარჯვებული ოჯახურ ბიუჯეტს 760 ათას 500 ევროთი შეავსებს.

დღის დაჯესტი

ტრისტანმა შეიძლება დაისვენოს

ესპანეთის ნაკრების ფორვარდმა დიეგო ტრისტანმა სლოვენიასთან პირველი ტურის მატჩში ტრავმა მიიღო, მაგრამ, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, პარაგვაის წინააღმდეგაც ითამაშა. ფეხბურთელს ტრავმა გაურთულდა, ამიტომ, შესაძლოა, გამოტოვოს სამხრეთ აფრიკასთან მესამე ტურის შეხვედრა.

ესპანეთის ნაკრების ექიმის ხენარო ბორასის განცხადებით, ტრისტანმა, სულ ცოტა, 48 საათი მაინც უნდა დაისვენოს და გამაყუჩებლები მიიღოს. ტრისტანი ერთადერთი ფეხბურთელი იყო ესპანელთა გუნდში, რომელმაც ვარჯიში გააცდინა. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ფერნანდო იეროსაც გაუჩნდა, მაგრამ სამხრეთ აფრიკასთან მატჩში მისი მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს.

მარადონას იაპონიაში მაინც უშვებენ

მოგეხსენებათ, იაპონური კანონების მიხედვით, ქვეყანაში ნარკომანის შეშვება სასტიკად აკრძალულია. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ლეგენდარულ არგენტინელს, დიეგო მარადონას, იაპონელებმა ვიზაზე უარი განუცხადეს.

ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ მარადონა ვიზას მომავალ კვირაში მიიღებს. "იაპონია მზად არის, გაითვალისწინოს არგენტინის მთავრობის თხოვნა", – განაცხადა იაპონიის იუსტიციის მინისტრმა მაიუმი მორიამამ.

ორი ინგლისელი ფანი დააკავეს

არგენტინა-ინგლისის მატჩის დაწყებამდე პოლიციამ საპოროში კიდევ ორი ინგლისელი გულშემატკივარი დააკავა. ამჯერად ინგლისელი ხულიგნები სპორტული მაღაზიიდან ერთ-ერთი ნაკრების ავტოგრაფიან მაისურს იპარავდნენ. რელიკვიად ქცეული სპორტული ინვენტარი კედელზე იყო მიკრული. ინგლისელებმა შეძლეს მაისურის ჩამოხსნა, მაგრამ გასასვლელთან ისინი დაცვამ გააჩერა და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანა.

რობი კინი: „გაჭირვებისას მაკარტი დამეხმარა„

ირლანდიის ნაკრების ფორვარდი რობი კინი, რომელმაც გერმანელებს ბოლო წუთზე გოლი გაუტანა და თავის გუნდს მერვედფინალში გასვლის შანსი შეუნარჩუნა, მადლიერებით საუბრობს თავის მწვრთნელზე მიკ მაკარტიზე. მწვრთნელი ფეხბურთელს მაშინაც კი ენდობოდა, როცა კინი ლიდსის სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

"მაკარტის ნდობამ "ლიდსში" ყოფნის მძიმე პერიოდი გადამატანინა", – ამბობს რობი კინი, რომელმაც მწვრთნელის ნდობა გერმანელთა კარში გატანილი უმნიშვნელოვანესი გოლით გაამართლა.

მხიარული არდადეგები გუშინ, დღეს

ნაადრევი არდადეგების მიზეზი მიწისძვრა იყო, მაგრამ თუ არდადეგები უსიხარულოდ ჩაივლის ჩვენი შვილებისთვის, მიზეზი ჩვენში ვეძებოთ.

ბავშვთა ფსიქოლოგები გვირჩევენ, დავივიწყოთ არჩევნები, ფეხბურთი და სხვა ყველაფერი, შვილების გარდა.

დღეს ცირკში, კონცერტზე "მხიარული არდადეგები" გეპატიჟებათ თიკა ჯამბურია, მარიკა თხელიძე, ზუკა ხუციშვილი, მარიამ როინიშვილი... დუტა სხირტლაძეც თქვენთან ერთად გაატარებს არდადეგებს.

კონცერტი საქველმოქმედოა. დაესწრებიან ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კავშირი "რევიუ", არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰაა-გის კლუბი", საქველმოქმედო ორგანიზაცია "დედის ძახილი" და SOS "ბავშვთა სოფელი".

ეს საჩუქარი ბავშვებს მოდელების სააგენტო "იმიჯცენტრმა" გაუკეთა.

სატელევიზიო პროგრამები

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.15 მულტსერიალი
10.45 "ოქროს ვარდის გამოძვაგული"
11.15 მუსიკა
11.25 სერიალი "ნიკიტა"
12.25 მხ.ფილმი
14.20 სიმფსონები
14.50 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
15.40 მხ.ფილმი
18.00, 00.20 კურიერი
18.20 ქართული ფილმი
19.50 დოკ. ფილმი "ველური გუნება"
21.25 60 წუთი
22.15 ჩვენი ეზო
22.40 "ჯეოსელის კინოკლუბი". "პანამელი მკერავი", "12 მაიმუნი", "ძმაო სად ხარ?"
00.30 მხ.ფ. "ნათლია 2" მთ.როლებში: ალ პაჩინო, რობერტ დე ნირო

პირველი არხი

08.00, 20.00, 00.05 "მოამგე"
08.20 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი"
08.50 ძია მიხო
09.00 მხიარული კარუსელი
09.25 "თბილისი და თბილისელები"
10.00 დილის პაემანი
11.00 ფალავანი
11.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: მექსიკა - ეკვადორი
13.30 მეტრო
13.50 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: კოსტა-რიკა - თურქეთი
16.00 საკვირაო გამოფენა
16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: იაპონია - რუსეთი
18.25 ჩვენ
18.35 ამბები ჩვენზე
19.05 "ბავშვთა უფლებების კონვენცია"
19.25 "ჩვენი მისამართია"
20.00, 00.00 მოამგე
20.25 საქართველო არის ესე
20.50 ენა დედაა ერისა
21.10 "მიამგეთ თქვენზე"
21.50 "ჰოლივუდის ვარსკვლავები" (პოლ ნიუმანი)
22.15 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: იაპონია - რუსეთი (ვიდეოჩანაწერი)
00.10 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.30 მხ.ფ. "რომ იცოდეთ"

მეორე არხი

18.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
20.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
22.15 "მოამგე" მეორე არხზე
22.30 მხ.ფილმი "აფრიკიდან"

ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება
17.20 საეკლესიო კალენდარი
17.35 საუბრები გიგლიაზე
19.00 თქვენი აზრით...
19.20 ჩვენი თაობა
20.00 თავისუფალი მიკროფონი
20.15 მოგზაურობა გავშვებაში
20.30 იქ, სადაც სიყვარულია...
22.10 "იდენ ტვ" 22.40 "ეკონომისტი"
23.40 მსოფლიო სპორტი

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 10.20, 11.55, 20.20, 22.10, 23.55 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "დუგლიორი"
10.30 მხ.ფ. "დაქირავებული მკვლელის დღიური"
20.25 მხ.ფ. "რიკოშეტი"
22.20 მხ.ფ. "ლტოლვილი იმ სამყაროდან"

პირველი სტერეო

07.30 "მადლიანი ცნობა"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
13.00 "პრეს-პრესი" განმეორებით
14.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "ვლეზანტვილი"
16.00 "უცნობი" განმეორებით
17.00 ათეული
18.00 "სოლო" განმეორებით
19.00 მუსიკა
20.00 მო
22.00 ინფორმატორი
22.20 რეკლამის ათეული
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ბედის საჩუქარი". მთ. როლში ჯეიმს ნესბიტი
01.55 ღამურა "ყორანი 3". მთ. როლში შონ პენი
03.15 ნონ-სტოპი

კავკასია

12.00 ინდ. მხ.ფილმი "მწარე თაფლობის თვე"
14.30 მხ.ფ. "სეიფების მძარცველი"
16.30 მხ.ფ. "პოლიციის აკადემია 7"
18.00 მულტფილმი "როგინ ჰუდი"
20.20 ჯაზ-პარნასი
20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
21.00 დოკ.ფილმი
22.30 მხ.ფ. "ბგელი"
00.20 მხ.ფ. "ცხრანახევარი კვირა"

მეცხრე არხი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20, 19.10, 20.50, 22.00, 00.00 მუსიკა
09.35 მულტფილმი "მხიარული მელოდიები"
10.00, 15.00 "დილა"
11.20 გადაცემა "ჭკუის კოლოფი"
12.00, 14.10, 18.35 დისკავერი
12.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
13.20 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
16.20 მხ.ფილმი "ზორის ნიღაბი" მთ. როლებში ანტონიო ბანდერასი, ენტონი ჰოპკინსი
19.00 მაცაცერა
19.30 მსოფლიო ფეხბურთი
20.00 სად? რა? როდის?
21.00 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.00 მხ.ფ. "ვერტიკალური ზღვარი". მთ. როლებში კრის ო,დონელი, ბილ პეკსტონი, როგინ ტანი
00.20 მხ.ფ. "ტელევიქტორინა". მთ. როლებში ჯონ ტურტურო, რობ მოროუ

აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 "პერსონა"
10.00 სათავგადასავლო ფილმი "ნაპოლეონი"
11.20 "Улово"
11.40 "ფოკუსი"
12.00, 16.00, 19.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მხატვრული ფილმი "ლეგენდა ენეოსზე"
13.55 "ყველანი ვართ პატარები"
14.05 კომედია "სამი მამაკაცი და პატარა ლედი"
15.45, 21.50, 02.40 მუსიკა
16.15 მულტფილმი "გოლტო"
17.30 კომედია "ოქროს ხბო"მე-2 სერია
19.20 დრამა "ამისტადი"
22.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.30 "Новости в воскресенье" 22.50 "Шаг за шагом"
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.30 ისტორიული ფილმი "ალექსანდრე დიდი"
02.40 მუსიკა
03.30 სათავგადასავლო ფილმი "ექიმგაში"
05.10 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

116.30, 19.50,22.30,01,55 ანონსი
16.35, 21.50 ამინდის პროგნოზი
16.55, 20.40 აფიშა
17.00 ფორმულა-1. კანადის გრან-პრი.
18.30 "ლა-ლა-ლა"
19.00 "აჩიკუდა"
19.45 "ავტოტრეკინგი"
20.35 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
21.55 რაგბი. აფრიკა - უელსი
23.10 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "სათამაშოები"
01.00 მუსიკალური ტაიმაუტი
01.30 პრესის მიმოხილვა

ОРТ

07.35 х.ф. "ВЫШЕ РАДУГИ" 2-я с.
09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости.
09.10 Служу России!
09.40, 16.30 Дисней-клуб 10.05 Утренная звезда.
11.10 "Непутевые заметки".
11.30 ФУТБОЛ. МЕКСИКА-ЭКВАДОР.
13.40 Клуб путешественников.
14.25 Сами с усами
14.55 Умники и умницы.
16.15 ФУТБОЛ. ЯПОНИЯ -РОССИЯ.
18.30 "Большой футбол" Ток-шоу.
19.20 "Ералаш"
19.30 х.ф. "ДЖОРДЖ ИЗ ДЖУНГЛЕЙ"
21.15 КВН-2002 23.30 Времена
00.45 х.ф. "РЕБЕНОК РОЗМАРИ".

РТР

07.30 Фильм-сказка "ОСЕННИЕ КОЛОКОЛА"
08.45 Мультфильмы.
09.50 Русское лото
10.40 "ТВ-Бинго шоу"
11.25 Доброе утро, страна!
12.00 Сам себе режиссер
13.00 "Городок"
14.55 "ХА". Маленькие комедии.
13.50 ФУТБОЛ. КОСТА-РИКА - ТУРЦИЯ.
16.00 Вести.
16.20 Парламентский час.
17.05 Диалоги о животных.
18.00 Вокруг света.
18.50 ТВ Бинго новости
18.35 х.ф. "АСТЕРИКС И ОБЕЛИКС ПРОТИВ ЦЕЗАРЯ"
21.00 Вести недели.
22.10 Аншлаг
23.15 х.ф. "ПОЧТАЛЬОН"
02.35 Дневник чемпионата мира по футболу.
03.30 Чемпионата мира по автогонкам "Формула-1". (Канада).

НТВ

07.55 фильм "ГОСТЬЯ ИЗ БУДУЩЕГО"
09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня.
09.15 фильм "ГОСТЬЯ ИЗ БУДУЩЕГО"
10.20 Пепси-чарт.
11.15, 20.45 Сериал "СЫЩИКИ".
12.25 "Растительная жизнь"
13.20 фильм "САМАЯ ОБАЯТЕЛЬНАЯ И ПРИВЛЕКАТЕЛЬНАЯ"
15.10 Все сразу!
15.50 Вкусные истории.
16.05 Своя игра.
17.20 Профессия -репортер.
17.45 "Я и моя собака"
18.35 Женский взгляд
19.10 Очная ставка
19.45 Шоу Елены Степаненко.
22.00 "Намедни"
23.15 Куклы.
23.35 Фильм "ИЗБЫТОЧНАЯ СИЛА" (США)
01.30 Фильм "СУКИНЫ ДЕТИ".

წინა ნომერში გამოქვეყნებული იაპონური კროსვორდის პასუხი



თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

ტელ: 32 23 71